



საქართველო  
საბოლოო

წელაწიდა

საბოლოო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი

ქეთათბეკა

№ 29

კვირა, 16 ნოემბერი 1903 წ.

№ 29

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., სახვევარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთი წლით 8 მანეთი, სახვევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში; რუსის ბაზარში: საეკლესიო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბა.

რედაქციის კანტორა ღია ყოველ დღე, დღის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე.

სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათის; შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция газеты „КВАЛИ“.

**შინაარსი:** ბ. ფ. გოგიჩაიშვილი და «საზოგადო მოღვაწეობა», ყვირილელისა.—მოავრთბის განკარგულება.—სხვადასხვა ამბები.—რუსეთი.—ტურეთის ამბები.—სიმღერა. ანოსპირელისა.—«გასავლელში», მოთხრობა კანისა.—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, ა. წულუკიძისა.—ჩვენებური უკუღმართობა, მ. მარიაძისა.—განცხადებანი.

## ხელის მომწერთა საკუთრადღეობა.

9 ნომბრიდან „კვალი“ კვლავ გამოდის და სრული იმედი გვაქვს, რომ მისი გამოცემა აწ აღარ შეფერხდება. რადგან დროებით შეჩერების გამო ამ 1903 წელს ჩვეულებრივი რიცხვი №12-სა ვერ გამოდის, ამიტომ იმ ხელის მომწერთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც წლის ბოლომდე გამოსულ ნომრებზე მეტი ერგებათ თავის შემოტანილ ფულში, დაკლებული რიცხვი №12-სა 1904 წლია ნომრებით შეუსრულდებათ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, ამ ერთ ნომბრიდან გაზეთის გზავნა ესაზება.

ახალ ხელის მომწერთათვის წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება ერთ მანეთათ.

### ბ. ფ. გოგიჩაიშვილი და „საზოგადო მოღვაწეობა“

„ოჯახის საშუალებით საზოგადოებას მუდამ ახალი ელემენტი ემატება, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ქველცხოვრებას და ჰქმნის კულტურულ წარმატებას. ამ ნაირათ, ჯერ მართლაც მხრით რომ შეგხედოთ, ოჯახის დიადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ყველას ცხადია და ნათლათ წარმოგვიდგება“.

ფ. გოგიჩაიშვილი.

...Чтобъ имѣть дѣтей  
Кому ума не доставало?

გრიბოედოვი.

იცი, მკითხველო, რა არის საზოგადო მოღვაწეობა, ვის ჰქვია საზოგადო მოღვაწე? საზოგადო მოღვაწე—ეს ისეთი ადამიანია, რომელმაც თავის პიროვნება გააფართოვა, შეითვისა და შეისისხლობორცა რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფის ინტერესები ისე, როგორც თავისი საკუთარი, ჩაერია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავის მოქმედებას სარჩულათ ამ ჯგუფის ინტერესთა დაცვა დაუდვა. საზოგადოებრივი ცხოვრება—საზოგადოებრივ ჯგუფთა ბრძოლაა; და აი, რაც უფრო მრავალი და ფართოა ის ჯგუფი, რომლის ინტერესებით ხელმძღვანელობს მოღვაწე მით უფრო ამალღებულა და მდიდარი შინაარსით მისი პიროვნება; რაც უფრო შესისხლობორცებული აქვს მას ეს საზოგადო ინტერესები—მით უფრო მძლავრ კვალს დატყობს იგი ცხოვრებას. და თუ ვინმეს სურს დაინახოს თვალწინ საზოგადო მოღვაწის იდეალი, მან უნდა

წარმოიდგინოს ადამიანი, რომლის მოქმედების ერთათ-ერთი სარჩული—კაცობრიობის უმრავლესობის ინტერესია, და რომლისთვის არ არსებობს სხვა ნეტარება, სხვა მიზანი—გარდა ამ ინტერესების სამსახურის და მათთვის მთელი თავის არსების შეწირვისა.

ახლა, წარმოიდგინე, მკითხველო, სხვა გვარი ადამიანი. წარმოიდგინე კაცი, რომლის აზრი და გრძნობა მიმართულია მხოლოდ მის კერძო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. სმა, ჭამა, ცოლ-შვილი, აი მისი ერთათერთი იდეალი და მისწრაფება. ასეთი ადამიანი ბევრია ყოველგან. მათ ზოგი ზიზღით უყურებს, ზოგი შებრალებით, ზოგი შენატრის მათ ბედს და კმაყოფილებას. მაგრამ რას იტყვი, რომ ასეთ ადამიანზე მწერალმა მიგითითოს და გითხრას: აი საზოგადო მოღვაწე, აი ვინ „ასრულებს თავის მოვალეობას წინაშე ერისა და საზოგადოებისა“.

ასეთი „აზრი“ გამოთქვა ბ. ფ. გოგიჩაიშვილმა „ცნობის ფურცლის“ № 2317-ში. ჩვენ ეს აზრი ტიპურათ მიგვაჩნია იმ წრისათვისაც, რომელმაც ის შექმნა, და იმ მწერლისთვისაც, რომელმაც ის გამოთქვა. და რადგანაც არც ამ წრეს და არც ამ მწერალს ჩვენი მკითხველი კარგათ არ ჩაკვირებია დღემდის, ჩვენ გვსურს გამოვარკვიოთ დღეს მათი ფიზიონომია.

აი, როგორ ამტკიცებს ბ. გოგიჩაიშვილი „ოჯახის დიად საზოგადოებრივ მნიშვნელობას“ „ჩვენთვის, ქართველებისთვის“. გარდა იმისა, რომ ოჯახს შეუძლია ახალთაობის კარ-

გათ აღზრდაო, ამბობს ის, „არის კიდევ სხვა გარემოება, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელოვანათ ხდის ქართველობისთვის ოჯახებისა და მეოჯახე პირთა გამრავლებას. ეს გარემოებაა ჩვენი სიპატარავე, ქართველ ხალხის რიცხვითი სიმცირე. დღეს, როცა ქვეყნიერობაზე ასეთი გამწვავებულ ბრძოლაა გაჩაღებული, ბრძოლა არსებობისთვის, მომცრო და დამოკიდებულ ერს სჭირია მუდამ ენერჯის გაცხოველება, სიფხიზლე და მედგარი მუშაობა, სჭირია ძალის შეუჩერებელი ზრდა და გადიდება, რომ მოახერხოს თავის ეროვნულ თვით-არსებობის დაცვა და ამით მოწინავე ხალხთა კულტურის გად-მოღება და შეთვისება. ხოლო ძალა ამ შემთხვევაში უპირველესათ სიმრავლით განისაზღვრება. ჩვენ გვესაჭიროება ხალხი, მეტი ხალხი, რაც შეიძლება ბევრი ხალხი, რომ შევძლოთ ნიადაგზე გამაგრება და ისტორიულ მდებარეობას დაცვა და შერჩენა“.

აი, მკითხველო, რა ადვილი ყოფილა საზოგადო მოღვაწეობა. მოლიერის ერთმა გამირმა მხოლოდ სიბერის დროს შეიტყო, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეში პროზით ლაპარაკობდა. შენც, თუ შეილება გყავს, მხოლოდ ახლა შეიტყობ, რომ მათი გაჩენით საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში ჩაეწერე.

მაგრამ შენი სიხარული ხანგრძლივი როდი იქნება. გამოაცხადა რა, რომ „ქორწინებათა განშორება და ოჯახების გამრავლება ხალხის გადიდებას და გაძლიერებას მოასწავებს“, ბ. გოგინაიშვილი შეუდგა ჩვენი ქვეყნის შედარებას დაწინაურებულ ქვეყნებთან ქორწინებათა სიხშირით და აღმოაჩინა, რომ ამ მხრივ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა უცხოეთს... არ ჩამოუვარდება. მაშ სადღა გაქრა ქორწინებათა სიმრავლის ყოვლით მსხელი მოქმედება? რატომ ჩვენ, ჩვენის ხშირი ქორწინებებით, მაინც უკან ვდგევართ ევროპაზე? შეიძლება გვი-თხრან, პატარა ხალხმა თანასწორათ კი არა, ერთი ათათ უფრო ჩქარა უნდა იმრავლოს დიდ ერებთან შედარებით, რომ მათ დაეწიოსო. მაგრამ ჩინეთი? ის ხომ დიდი, ხალხ-მრავალი ერია და ნუ თუ ეს სიმრავლე მის ძლიერებას მო-ასწავებს?

ბ. გოგინაიშვილისთვის არც ერთი ეს კითხვა არ არსებობს. მან გამოთქვა აზრი, დაარღვია იგივე აზრი სტატისტიკით და კმაყოფილებით განაგრძობს მსჯელობას. ის გადადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ერთმანეთთან შედარებაზე და აქ უნუგეშო დასკვნას აღიარებს. „საერთოთ, — ამბობს ის საქართველოს შესახებ, — ყველგან ქალაქელთა ქორწინების რიცხვი ნაკლებია სოფლებებისაზე.“ ვინ არ იცის, რომ ჩვენი ახალი ცხოვრება ქალაქებში ვითარდება და აქ იდგამს ფესვებს. და თუ აქ ქორწინების რიცხვი შედარებით ისე ხშირი არა, როგორც სოფლებში, მაშინ... მაშინ ბ. გოგინაიშვილის თეორიას რაიმე შესწორება, განმარტება ან შევსება ეჭირვება, თორემ სასაცილოა იმ ადამიანის მდგომარეობა, რომლის ყველა სტატისტიკური ცნობა უმთავრეს თეორიულ აზრს ეწინააღმდეგება.

ბ. გოგინაიშვილის აზრით, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ოჯახს საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზათ ქმნის. „ოჯახს, — ამბობს ის, — ოჯახს რიგიანს, შეგნებულს, თავის სოციალ-ეროვნულ მოვალეობის მკოდნეს და აღმასრულებელს, — შეუძლია შეასწავლოს მოზარდ თაობას ისეთი საგნები, ჩაუნერგოს გულში ისეთი გრძობა და იდეები, რომლებიც თანახმით შრომა და მოქმედება შემდეგში აურაცხელ სარგებლობის მომტანი იქნება ერისთვის, კულტურულათ წინ წამწევი იქნება საზოგადოების“. ... „არავის აზრათ არ მოსდის ოჯახის მამა, რომელიც წლებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამ მუშაობს, არჩენს ცოლს, ზრდის შვილებს და ამსახით სამშობლოს სასარგებლო წევრებს უმზა-

დებს, საზოგადოებრივ მუშაკათ და მოღვაწეთ მიიჩნის და მის წინ მოწინებით და პატივისცემით გაიაროს“. რასაკვირველია, ჩვენ გვჯერა, რომ ოჯახის მამას საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგების მომზადება შეეძლოს. მხოლოდ ერთი რამ კი არის აქ საჭირო. საჭირო არის, რომ თვით აღმზრდელში გაღვივებული იყოს საზოგადო მოღვაწეობის წყურველი. ბ. გოგინაიშვილს სახეში ჰყავს ისეთი აღმზრდელი, რომელიც მხოლოდ საოჯახო ასპარეზზე მოქმედობს. ასეთ ადამიანისაგან გაზრდილი „მოღვაწენი“ კი საეჭვოთ მიგვაჩნია. თუ მას მართლა „სამშობლოს სიყვარული“ უღვივის გულში, რატომ თვითონ, ახლავე არ ემსახურება მას და მხოლოდ მომადლისთვის უმზადებს „საზოგადოებრივ მუშაკებს“? ერთი და ორი „მამა“ შეიძლება ასეთი განსაკუთრებულ პირობებში წარმოადგინოთ, ხოლო როგორც საზოგადო მოღვაწეა — ეს შეუძლებელია.

ამგვარათ, ჩვენ დავინახეთ, რომ არც ერთი ის „გაჭე-მოება“, რომელიც გვიითებს ბ. გოგინაიშვილი იმის დასამტკიცებლათ, რომ მეოჯახე საზოგადო მოღვაწე არის, არ წარმოადგენს ერის წინ წამწე მოვლენას. თავისდათავთ ვერც ქორწინების გამრავლება, ვერც ის აღზრდა, რომელსაც ბ. გოგინაიშვილისაგან აღებული ოჯახი აძლევს შვილს, ვერ გააძლიერებს ერს, ხალხს, საზოგადოებას.

მაგრამ, — გვეტყვის ბ. გოგინაიშვილი, — ეგ სულ ერთთა, მოაქვს თუ არა ადამიანს მარტო ოჯახის ხელოს მოკიდებით საზოგადო სარგებლობა. ნახეთ ჩემი განმარტება საზოგადო მოღვაწისა და იქ წაიკითხავთ, რომ საზოგადო მოღვაწეთ შევთვლი ყველას, ვინც „მატებს საზოგადოებას ძალას, შეაქვს — ან განხატავს აქვს მათსე შეიტანას — თავისი წვლილი ხალხის კულტურულ განვითარებაში და მთელს თავის ამგვარ მოქმედებაში ჩეღმძვანებას უწინააგვს ეკადისა არა საკუთარ ჯამორჩენისა და სარგებლის მიზნათ, არამედ მისგან ამს აუ ამ სხვათ შეუკავებულ ქვეშაობებით და საზოგადო სარგებლობით“.

კარგია, სწორეთ. დაიკმაყოფილებთ თქვენთ თიზიოლოგიური მოთხოვნილებანი და ოღონდ განთავსდეთ, განწირახვა გვექონდა საზოგადო სარგებლობისა, ვხელოვდებოდნოდით ამა თუ იმ სახით შეთვისებულ ქვეშაობითეთთ, და გათავდა, საზოგადო მოღვაწის სახელით თქვენთვის, მზათ იქნება. მაგრამ ბ. გოგინაიშვილო, პირუტყვისაც ხომ ჰყავს შვილი, პირუტყვიც ხომ ზრდის მას. ისე რომ ვაი თუ მაგ თქვენგან ქებულს „მოღვაწეობას“ ხშირათ, ძალთან ხშირათ სხვა საფუძველი ექნეს, და არა „საზოგადოებრივ სარგებლობის“ დიადი განზრახვა? და ვაი თუ ყველა ფილისტერო, რომელიც კი დედამწიწის ზურგზე არსებობს, დაეტიოს მაგ „ფართო ფარგალში“, რომელსაც თქვენ საზოგადო მოღვაწეობას ავლებთ.

ბ. გოგინაიშვილს უკვირს, როგორ შეიძლება საზოგადო მოღვაწეობის და ოჯახის დაპირდაპირება. მას ვერ წარმოუდგენია ადამიანი, რომელმაც მართლა საზოგადო მოღვაწეობისათვის დასთმო ოჯახი. რას ეტყვი ასეთ ურწმუნო თომას? ნუ თუ არ იცხს მან ამნაირო შავალითები? ავუხსნათ ბ. გოგინაიშვილის, რას შეუძლია გამოიწვიოს ასეთი მოვლენა. აი, თუნდ იმას, რომ ოჯახს რჩენა სჭირდება, რჩენას კი მატერიალურ შეძლების შოვნა, რისთვისაც მოღვაწეს შეიძლება დრო აღარ დარჩეს. მართალია, ბ. გოგინაიშვილი ამბობს, რომ ვერ მოიძებნება საზოგადო მოღვაწე, რომელიც მოღვაწეობაში „გასამრჯელოს“ არ იღებდეს, — მაგრამ ეს იმიტომ, რომ მას ცუდათ უძებნია. რასაკვირველია, შრომაში ფასის აღება სირცხვილი როდია, მაგრამ არის ბევრი, ძალიან ბევრი საზოგადო მოღვაწე, რომელიც უგასამრჯელოთ ემსახურება საზოგადო საქმეს. თუ სურს ბ. გოგინაიშვილს, ჩვენ დავუსახელებთ ასს და ათას მოღვაწეს, გინდ თანამედროვე ცხო-

ვრებოდან, გინდ წარსულიდან, რომლებსაც ოჯახის რჩენის საშუალება არ ჰქონიათ. ისინი ფიქრობდნენ, ერი უჩვენოთაც კარგათ იმრავლებს, ამ მხრით მას მოღვაწის შრომა როდი სჭირიაო, და ჩვენ დღესვე მთელი ჩვენი ძალ-ღონე ხალხის ქირ-ვარამს უნდა შევსწიროთ, აქ, ამ სარბიელზე გვაკლია მუშა-კებიო. და თუ ასეთმა მოღვაწემ ოჯახზე ხელის აღებით საზოგადოებას მოაკლო მომავალში სასარგებლო წევრები (იმიტომ რომ ასეთ ვაცს მართლაც „საზოგადოებრივ მუშაის“ აღზრდა შეუძლია), ნუ თუ ეს აძლევს უფლებას რომელიმე ფილისტერს ქვა ესროლოს მას და უთხრას, თვით შენ არ ასრულებ შენს მოვალეობასო?..

მაგრამ კმარა ბ. გოგიჩაიშვილზე ლაპარაკი. ის ჩვენთვის საკმარისათ გამოირკვ...  
ყვრილული.

**მთავრობის განკარგულება**

უმაღლესად დამტკიცებული 12 ივნისის 1903 წ. მინისტრთა კომიტეტის აზრი ამის შესახებ, რომ რუსეთის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება მთავრობის დაწესებულებათა გამგეობას ჩაბარდეს და ზემოხსენებულ ეკლესიის ამ ქონებისა და თანხების შესახებ, რომელიმე ინსტრუქციის საშუალებით საკლესიო სასწავლებლები და რომელიმე საერო განათლების სამინისტროს გამგეობაში უნდა გადაიტყოს.

(დასასრული. იხ. „კვილი“ № 28 1903 წ.)

შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ ქონება და თანხები, შემოსავალს და ფულს, რომელიც შესდგება იმის გამგეობაში მყოფ თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით;

ა) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს: ა) არა უმეტეს 10%-ისა ამ უძრავ ქონების მართვა-გამგეობის ხარჯის დასაფარავად, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენათ არა ჩვეულებრივ ხარჯთათვის, ქონების გასაუმჯობესებლათ, და ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხის შესადგენათ; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო დაწესებულებათა საქროებას და ამ ეკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებას; ამ თანხას უნდა მიემატოს რაც შემოსენებულს (პუნქტი ა.) 10% ხარჯიდან დარჩება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უთანხმოება მოხდა, ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოირკვა—სამღვდლოების ესა თუ ის ქონება ან თანხა მთავრობას გარდაეცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტათ შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს.

II. მიენდოს: 1) შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამღვდლოების დამხმარებელ თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; მინისტრმა თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ უნდა წარადგინოს წესისამებრ დასამტკიცებლათ; და ბ) დაადგინოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა შეადგინოს სასულიერო დაწესებულებამ ანგარიში იმ შემოსავლისა რომელიც სახარჯოთ გადაეცემა და 2) მიწათ მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა სათანადო სამინისტროებს და ბ) წესი ამ ქონების მართვა-გამგეობისა.

დ. III. უმაღლესათ დამტკიცებულას 26 მარტს 1898 წელს მინისტრთა კომიტეტის აზრის ნაცკლათ დაწესდეს:

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთა გან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრთა მიხედვით, ამ დებულების 1 მუხლის თანხმით, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სახელმწიფო მმართველობაში რომ მიღებული იქნება, ერთმანეთთან შეთანხმებით გამოარკვიონ ის ქონება, რომლის შემოსავლითაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა იხარჯებოდეს, და მას შემდეგ: ა) აღნიშნონ ის ქონება, რომელიც უნდა დასტოვონ სასწავლებელთა საქროებისათვის, და ბ) დანარჩენ ქონების შემოსავლის დაგვართ გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადაეცეს ყოველ წელს საერო განათლების უწყებას შემოსენებულ სასწავლებელთა შესანახათ.

12 ივნისის 1903 წლის თარღით უ. მ. ა. დ. ლ. ვ. ა. დ. დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ და მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან შეთანხმებით ვანტიკებ. ს. პეტერბურგო, 30 ივნისს 1903 წელს.  
შინაგან საქმეთა მინისტრი  
სტატს-სეკრეტარი (ხელს აწერს) პ. ლ. ვ. ვ. ი.

**წესი**

სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონებისა და თანხათა სათანადო სამინისტროთა გამგებლობაში გარდაცემისა.

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ამ ქონების შესახებ ცნობანი, რომელიც 12 ივნისის 1903 წლის თარღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ, უნდა ჩამოერთვას, სასულიერო დაწესებულებათა გამგეობას, უნდა აუწიოს: ეგრევე რუსეთში—შინაგან საქმეთა სამინისტრამ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და, იმის და მისხედვით, სცა ეს ქონებანი იმეფება, —იქურ გუბერნატორებს და ქალაქის უფროსთა, ხოლო კავკასიის გუბერნიებში—მთავარ-მართებლის მმართველობიდან მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნდობა—მოსილს კავკასიაში და იქურ გუბერნატორებს და ოლქების უფროსთა. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრამ და ამ სამინისტროს ნდობა—მოსილს კავკასიაში უნდა აუწიონ მათ მიერ მიღებული ცნობანი თვისთა ხელ-ქვეითი საგუბერნიო მმართველობათა.

2) მიღებისამებრ ადგილობრივ, უწყებათა სახით, ზემოხსენებულ ცნობათა, რომელიც აჩვენებდა იქმნება კენიამანის სინოდის უკანასკნელ ანგარიშებიდან, გუბერნატორებმა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობებმა, ერთმანეთ შორის შორიგებით, უნდა განკარგულება მოახდინონ და ერთს და იმავე დროს გაჭეზანონ თვისთი ხელ-ქვეითი თანამდებობის სარწმუნო კაცნა, რომ ერთად ჩაიბარონ სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო დაწესებულებათაგან საეკლესიო ქონება და თანხა. ზემოხსენებულთ კაცთ უნდა მიეცეთ კერძოანი დარიგება, ფორმალური ბძანება და ნიმუში ჩაბარების ოქმების და ნუსხისა.

3) თითოეულს ქალაქსა და მასრაში ჩაბარება უძრავის ქონებისა და თანხის უნდა დაწესებულ იქმნას უფრო ამ მამულიდან, რომელიც შესამხნვეია ოვისის სიდიდითა.

4) ზემო-ხსენებულნი მოხელენი, მიუხედავად თუ არა ადგილობრივ, იწვევენ მათდა მინდობილ საქმეში დასახმარებლად იქურ შოლიციის წარმომადგენელს, იქურსავე სომეხ-გრიგორიანთა კეთილ-მოწესე მღვდელს, თუ არის იქ, აგრეთვე ამ სასულიერო კაცს ან იქ სასულიერო დაწესებულების წარმომადგენელს, ვის გამგებლობაშიც არის მისადკი ქონება; ამას გარდა, იწვევენ ქალაქ ადგილას—ქალაქის თვით-მმართველობის წარმადგენელს, ხოლო სოფლად—ორს კეთილ-სვინდისიერს მცხოვრებელს, არა ამოხედ ნაკლებ, და მამასხადისს. ქონების ჩაბარების დროს უნდა დაესწროს ქტიტორი ანუ მნათე, რომლის შირდაშობის გამგებლობაშიც არის მთლად საეკლესიო

ქონება (მუხ. 1225 უცხ. აღსაჩ. სასულ. საქმეთა წესდებისა. გამც. 1896 წ.).

5) შეუდგებიან თუ არა ჩასაბარებელ ქონების დათვალიერების ისინი, ვისაც ეს საქმე აქვთ დავალებული უიბრველეს უფლისა მოითხოვენ, რომ ქტატორმა, მონასტრის წინამძღვარმა ან ამა თუ იმ სასულიერო დაწესებულებას უფროსმა წარუდგინოს საინვენტარო ნუსხა მთლად საკლესიო თუ სამონასტრო, აგრედვე სასემინარიო და სხვა ქონების უცხა აღსაჩების სასულიერო საქმეთა წესდების 1226 მუხლით დაწესებულ ზონარ-გაფრული დაფორები, აგრეთვე გეგმანი, კონტრაქტები, ნამდვილი გუჯარ-სიგელი მფლობელობისა, ვადებულობის ქაღალდები, შესახად დაბინავებულ ფულის კვიტანციები, ანუ წიგნები შემხანველის კასებისა, აგრედვე სხვა ოქმები, რომელიც-ც შეეხება კვლევის გამგებლობაში შეიჭრ მამულებსა, ვადებულების წერილებსა და თანხებსა.

შენიშვნა: რადგანაც სომეხ-გრიგორიანთა მონასტრების უმეტეს ნაწილს არა ჰქვას მონაზონთა ძმანი და კანონით დაწესებული (მუხ. 1235 უცხ. აღსაჩ. სასულიერო საქმეთა წესდებისა) სამონასტრო გამგებობანი, ამიტომ, ასეთ გარემოებაში, ქონების მისაღებად ადგილას წასვლამდე უნდა მოითხოვონ საბუთები და ნუსხანი საეპარქიო კონსისტორიებისაგან, სცა ინახება, კანონისამებრ, ასეთნი ცნობანი.

6) ასეთ ნუსხათა და საბუთების შემოწმების შემდეგ, რწმუნებულნი შეუდგებიან თვით ქონების მიღებასა. თან ასეთი წესი უნდა იქმნას დაცული:

ა) ქაღაჩის სახლები, დუქნები, ქარავსლები, წარქვილები, ღვინის სარდაფნი და სხვა სამხეო შენობანი, გრდა კაცთა საცხოვრებელ სახლთა და შენობათა, აგრეთვე სამხეო საფობთა და ნაშენობათა, რომელიც უნდა დარჩეს სამღვდელთების ხელში მათის საჭიროებისათვის, უნდა მიღებულ იქმნას უფულის თვისის ინვენტარითა და იმ მიწითურთ, რომელსაც იგი შენობანთა აკბეული;

ბ) საეკარაკო სადგომ-საშეოყენი ნატრარაქ-კათალიკოსისა და ეპარქიის უფროსთა, სცა ამისთანა რამ დიდის ზნიდანვე არსებობს, თვისის ბაღებითა, ბოსტნებითა, და ჭაღა ტუეებითა, რჩება ზემოხსენებულ სასულიერო კაცთა ხელში;

გ) იმ მამულებში, სცა სახნავ-სათესია, ან ტუე, მამულთან ერთად უნდა მიღებულ იქმნას უფულოდ იარაღი წარმოებისა, ხოლო საქონელი, ზური და სხვა დამზადებული სამხეო ნუსხ-სანაფაგე რჩება იმ კაცთა და დაწესებულებათა ხელში, რომელთა გამგებლობას უნდა ჩამოერთვას ხსენებული მამული;

დ) თუ კვლევისა ანუ სასულიერო დაწესებულების მფლობელობაში შეიჭრ მამული კანონით დაწესებულ მ დესეტინას მტირედ რამით აღემატება და ეს ნაშეტანი დამოუკიდებელ მეურნეობისათვის არ გამოდგება, არ უნდა იქმნას მიღებული განსაკუთრებულ განკარგულებამდე და უნდა იქმნას მონსენებული განაჩენი და

ე) თანხათაგან უნდა მიღებულ იქმნას სრულიად სარგებლიანი ქაღალდები, კარავნობის ქაღალდები და ვადებულობის წერილები, ხოლო ნადლის საკლესიო ფულიდან უნდა მიღებულ იქმნას სულ, ას თუმანს ზეკით ათათ თუმნობით. დანარჩენი დატოვებულ უნდა იქმნას მიმდინარე საეკლესიო ხარჯისათვის. ეს გარემოებაც უნდა განმარტებულ იქმნას ქონების მიღების ოქმში.

7) რაღა რწმუნებულნი დაწვრილებით დათვალიერებენ კვლევისათა და სასულიერო დაწესებულებათაგან მიღებულს ქონებას ადგილობრივ, მადგენენ ორ ეკუმენალიად დაწვრილებულს ოქმს, მიცემულ ნიშუშისამებრ და მათწერილებს ხელს მათ, ვინც დაესწრო ქონებათა მიღებას და დათვალიერებას; შემდეგ აღწერილ უძრავ ქონებას თვისის კუთვნილებათა გადასცემენ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მხელე კაცს, რომელსაც დავალებული აქვს და დაუკლებავ აუწყებენ გუბერნატორს და ადგილობრივ მმართველობას და თან წარუდგენენ შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედებისა

და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან გასაცხადებლად ნუსხას ნამდვილად მიღებულ ქონებისას. საბუთები თანხის შენახვა-დაცვისა და თვით თანხანი, სცა ეს თანხანი აღმოჩნდება უნდა გადასცემოდ გუბარნატორებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხა აღსაჩების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დეპარტამენტში გადასცემათ.

8) თუ უძრავი მამული ამა თუ იმ კვლევისა ანუ სასულიერო დაწესებულების სხვა მამრში ან გუბერნიაშია, რწმუნებულთ უნდა მოითხოვონ იმ მამულის სიგელ-გუჯარნი და აღწერილობა და წარუდგინონ გუბერნატორს იმ გუბერნიის უფროსის კარდასაცემად, სცა მამულია, რათა მან მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მისის მიღებისათვის.

9) თუ მიღებული ქონება ანუ მისი ნაწილი იჯარით არის ცაცემული ან სასარგებლოდ არის მიცემული ხელ-შეკრულებით ან ადგილობრივის ჩვეულობის ძალით, იჯარადართ, ან მამულის სასარგებლოდ ამდებთ უნდა ეუწეოთ, რომ ეკ მამულები მიიღო საზინამ თვის გამგებლობაში და რომ ისინი მოვალენი არიან, რაც გადასახდელი აქვთ ფულად, შემდეგისათვის შეიტანონ ხელმე სათანადო სახაზინოში იმ დეპარტამენტად, რომელიც გარკვევით უნდა აეხსნათ, ხოლო თუ თვით მოსავლია შესატანი, წარუდგინონ ხელმე იმას, ვისაც დავალებული ექმნება მამულის გამგებლობა.

10) ეთველავე ხარჯი, რაც მოუნდება ხსენებულ ქონებათა გადაცემას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის გამგებლობაში, უნდა გასტუმრებულ იქმნას იმ ფულიდან, რომელიც ადგილობრივ არის ვადებულები აქვთ-იქვთ სამსახურთა კაცთა გასაცხადებლად და შემდეგ ეს დანახარჯი უნდა, შეავსოს იმ ფულის 10%-დან, რომელიც უნდა გამოირიცხოს სომეხ-გრიგორიანთა კვლევის ქონების შემოსავლიდან; ხარჯი თანხათა გასაცხადებლად შინაგან საქმეთა მინისტრის გამგებლობაში, გასტუმრებულ უნდა იქმნას ამავე თანხადგან.

უცხა აღსაჩების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი (ხელს აწერს) მოსოლოვო.

სსმმდსსმმ ამმმმმ

კავკასიის მთავარმართებლის თავ. გ. ს. გოლიცინს გაცივების გამო ჭრილობამ ისევ გაუხსენა და მისი ავთომყოფობის შესახებ ბიულეტენები გამოდის: უკანასკნელი ბიულეტენები აი რას ამბობს: „ტემპერატურა, დილით 38; დღისით 38,6; საღამოთი, ოფლის შემდეგ, 36, 2; მაჯა 64. თვითგრძნობიერება კარგი აქვს. ძალ-ღონეზე გვარიანათ არის. ანთება აღარ ვრცელდება. ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი. 13 ნოემბერს საღამოს 8 საათი.

14 ნოემბერი საღამოს 8 ს. მის ბრწყინვალეობას ღამე მოუსვენრათ ეძინა. ტემპერატურა დილით 37,3, საღამოთი 38,7 მაჯა 76. უკანა კისრის კანის მცირე ნაწილზე ახალათ აღმოაჩნდა ანთება. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა 1898 წლის 28 აპრილის უმაღლესათ დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, საქიროთ დანიხა ორის თვით შეჩერება გაზეთ „მშაკის“, რომელიც გამოდის ტფილისში ნადვორნი-სოვეტნიკის კალანტარის რედაქტორთბით, რე ორის თვით გაზეთ „ნოვოე ობოზრენისი“, რომელიც გამოდის ტფილისში თავ. ვ. ს. თუმანოვის რედაქტორობით ხოლო ორის თვით გაზეთ „ტფილისის ფურცელს“, რომელიც ტფილისში გამოდის კ. ი. კალანტაროვის რედაქტორობით, აღევრძალო ისეთი მსჯელობების ბეჭდვა, რომელიც აღნიშნულია საცენზურო უსტავის მე-97—98 მუხლ.

11 ნოემბერს ტფილისის ქალაქის საბჭოს ბ. მიქელაძემ წარუდგინა მოხსენება ტფილისში შეუძლებელ მცხოვრებთათვის უფასო და იაფ ფასიან შენობების აგების შესახებ, ხოლო ქალაქის მოურავმა გამგეობის მე-4 განყოფილებას გადასცა საჭირო ცნობების შესაკრებათ. ქალაქში რომ გაქირვებულთა და შეუძლებელთა რიცხვი ბევრია და ასეთი სადგომების აგება რომ დიდ სარგებლობას მოუტანს მათ, ეს ცხადზე უცხადესია. ენახოთ რას იტყვის მე-4 განყოფილება და როგორ შეხედავენ ჩვენი მამები ამ საკითხს.

მომავალ კვირაში უნდა მოხდეს ქალაქის ხელოსანთა უსტაბაშების და დებუტატების კრება, რომელსაც განსახლებელი აქვს ხელოსანთა მოურავის რაფაელოვის მოქმედების ანგარიში და აგრეთვე 1904 წ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. ამავე კრებაზე უნდა აირჩიონ ხელახლა მოურავი, რადგან რაფაელოვს ვადა გაუთავდა.

11 ნოემბერს ტფ. ქალაქის გამგეობაში ქუჩის მგველმა მუშებმა თხოვნა შეიტანეს დღის ქირა მოგვიმატეთო. აქამდე ეს მუშები 50 კაპ. იღებდნენ.

ტფილისის ქალაქის გამგეობის შემოსავალ-გასავალი 1904 წლის განმავლობაში ვარაუდით ნაანგარიშგვია სულ 1,506 მ.

როგორც „ცნ. ფურც.“ სწერენ, ჭიათურის შავი ქვის მადნებში მუშაობა თითქმის სულ დამდგარა. ამის უმთავრესი მიზეზი საზღვარ-გარეთ ქვის ბაზარზე მისი მოთხოვნილების შემცირებაა. ცხადია შავ ქვას კრიზისი დასდგომია.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთ დედისთვის სამზავრო ბილეთი ეძლეოდათ უმოწმობათ, ახლა, როგორც რკინის გზის გამგეობა იუწყება, ასეთი ბილეთის მიღებისთვის საჭიროა პოლიციის მოწმობა, რომ მოსამსახურეს დედა ნამდვილათ ცოცხალი ყავს.

უწმინდეს სინოდს უკვე გადაუწყვეტია სვანეთი სოხუმის ეპარქიას შეუერთოს.

## რ უ ს ე თ ი

კომისია ცენტრის გადატაკების მიზეზების გამოსარკვევათ.—გლეხი და მისი იურიდიულათ შეიწროება.—საერო განათლების ცირკულიარი და გაძლიერებული დისციპლინა.—ციმპირის რკინის გზა და ზარალი.—კომერციული სასწავლებელი და ვაჭრების უზამდგომლობა.—მამა სპირიდიონი და „ინტელიგენცია და ხალხი“.

უკანასკნელი წლები რუსეთში—ეს პროექტების და რეფორმების წლებია. ახალ რუსეთს ვერ აკმაყოფილებს ძველი რუსეთის დროს გამოცემული კანონები, მას სჭირია ახალი, ყველაფერი ახალი და მასთან ერთათ ახალი კანონი და სამართალი. ცხოვრება მუდამ წინ მიდის და ვითარდება. ის თხოულობს, ყველაფერი ამ განვითარების კანონს დაემორჩილოს, დაემორჩილოს თვით კანონი და სამართალიც კი. ის ერთ წამსაც არ არის გაჩერებული, მუდამ მოძრაობს და უნდა ყველაფერი აამოძრაოს. კანონი და სამართალი მუდამ ჩამორჩენილია ცხოვრებაზე; ეს ასეც უნდა იყოს: ყოველ დღე და ყოველ წუთში კანონების და სამართლის წერა ვის გაუგონია და ვის მოსწრება. ფიზიკურათ ეს წარმოუდგენელიცაა. ამისთვის კანონი მუდამ კოჭლობს, მუდამ კონსერვატორობს და როცა მისი შემდეგი არსებობა შეუძლებელი ხდება, როცა ის ცხოვრების განვითარებას წინ ეღობება, ეს არის უკანასკნელი

წუთები მისი. ის უქმდება და იქნება ახალი წესი, ახალი სამართალი, ახალ წყობილების შესადარი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიერ აღიარებული. ახალი კანონები და რეფორმების ხანათ რუსეთში მესამოცე წლები იყოფოდა ყოველგვარი კანონები მაშინ გამოიცა: საგლეხო, საერობო და საქალაქო დებულებანი. ეს ხანა „დიდებულ რეფორმათა ხანათ“ ითვლება რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას შემდეგ გადის ორმოცი წელი და ისევ ის დებულებანი, ზოგი უფრო შეზღუდული და შევიწროებული...

მესამოცე წლებში გამოცემული კანონები ერთი რომ მაშინაც ვერ აკმაყოფილებდა პროგრესიულ ნაწილს საზოგადოებისას და მით უფრო დღეს სრულებით ვერ დააკმაყოფილებს უფრო გართულებულ ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამისთვისაა რომ შესდგა ათას გვარი კომისიები, კომიტეტები, ხდება კრებები, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ძველი კანონები და შემოღებულ იქნეს ახალი. მიდის სამინისტროში, თუ სახელმწიფო საბჭოში პროექტები პროექტებზე, პლანები პლანებზე, არის ერთი ფაცური, ერთი დავიდარება, აზრების გაცვლა-გამოცვლა და შეხეთქება ერთმანეთზე... ყველაზე წინ აქ საგლეხო რეფორმა წიმოყენებული. 19 თებერვლის კანონი ვერ აკმაყოფილებს გლეხის ეკონომიურ და გონებრივ მოთხოვნილობებს. მას არა აქვს უფლება თავისუფლათ წავიდ-წამოვიდეს, თუ ადგილობრივ ადმინისტრაციამ არ დაართონება, უპასპორტოთ ის ბიჯსაც ვერ გადადგამს და მოგეხსენებათ, თუ რა ძნელია პასპორტის აღება სოფლის მამასახლისების და მწერლებისაგან... ვალაცამ სიტყვა: რუსის გლეხი სამი ნაწილისაგან შესდგება: ხორცისა, სულისა და პასპორტისაგან, ხოლო პასპორტი კი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია მისი, და მართალიც არის. ოღონდ პასპორტი გქონდეს, სხვა არა უნდათ შენგან. პასპორტის სისტემის სრულიად გაუქმება და გლეხის იურიდიულათ სხვა წოდებებთან გათანასწორება პიროვნების სრული თავისუფლებით,—აი ის კითხვები, რომლებიც ცხოვრებამ წინ წამოაყენა და ძალაუფლებურათ დაუყენა წინ ძველ რუსეთსაც... და უმაღლეს სფერაში შეუდგენ მის გადაწყვეტას. ცენტრის გადატაკების შესახებ შემდგარი კომისია პირველ ყოვლისა გლეხის უფლებებრით შევიწროებას სთვლის უმთავრეს მიზეზათ რუსეთის გადატაკებისა. ამას ამბობენ ისეთი ავტორიტეტანი და გავლენიანი პირები, როგორც არიან სახელმწიფო მდივანი კოკოვცევი, გუბერნიის თავად-აზნაურობათა წინამძღოლები და უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულების მოხელენი. მაგრამ რადიკალურ ცვლილებაზე არც ერთი მათგანი არ ფიქრობს...

\* \*

რეფორმა აუცილებელია აგრეთვე საერო განათლების საქმეშიაც. ახალი ცხოვრების შუქმა სასწავლებლის კედლებშიაც შეანათა და მოითხოვა: შექმნა სასწავლებლის სწავლების ძველი წესები, ძველი მკვდარი ენები განდევნილ უნდა იქნეს, სამაგიეროთ ახალი მეცნიერება, საზოგადოებრივ მოვლენათა აწონ-დაწონვა და გათვალისწინება, აი რამ უნდა დაიჭიროს მათი ადგილი. დღევანდელი სასწავლებელი—ეს ფაბრიკაა, რომელშიაც ყალიბდება მოსწავლის გონებრივი და სულიერი საუნჯე თანახმათ ჩინოვანაკურ მოთხოვნილებისა. ხოლო დღევანდელი ცხოვრება მარტო ამით ვერ კმაყოფილდება. შკოლამ უნდა შექმნას არა მაშინის მსგავსი არსება, არამედ ადამიანი თავის საკუთარი შეხედულებებით და ხელუხლებელი უფლებებით. და რამდენათაც ის დაუახლოვდება ცხოვრების მიმდინარეობას, იმდენათ ნაკლები შფოთი და აღელვება იქნება სასწავლებლებში. დღეს კი საერო განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა ეს არა სასიამოვნო მღელვარება სკოლებში, ხოლო წამალს მის აღმოსაფხვრელათ დისცი-

პლინას ხმარობს. „ამ უკანასკნელ დროს—ამბობს მინისტრი—  
 რღქის მზრუნველთა მოხსენებანი სამინისტროში მოწმობენ,  
 რომ დისციპლინა და წესიერება შეგირდებში თანდათან ირ-  
 ლევა“; შეგირდები ირყვნებიან და გარეშე აზრებით არიან  
 შეპყრობილიო. იყო შემთხვევები, როცა უფროსი კლასის  
 მოსწავლეებმა ყველამ ერთათ უარი განაცხადეს დამორჩილე-  
 ბოდენ შკოლის ადმინისტრაციას. ვრცელდება მათ შორის  
 მთავრობის საწინააღმდეგო წიგნები და ეწევიან პროპაგანდას  
 არსებულ წყობილების წინააღმდეგ. სამოსწავლო მთავრო-  
 ბა კი ვერას გამხდარა ამ გვარი ბოროტების აღმოსაფხვრელა-  
 თო; მეტი ბვალ-ყურის გდება და დისციპლინა უმთავრესი  
 საშუალება წესიერების და უფროსის პატივისცემის პრინციპის  
 აღსადგენათო. არ ვიცი, მიაღწევს თუ ვერა დანიშნულ მი-  
 ზანს დისციპლინა და სასტიკი ზომები აღზრდის და სწავლების  
 საქმეში. ხოლო ის კი აშკარაა, რომ ეს შეგირდების მღელვა-  
 რება და უფროსების უპატივცემულობა აღმოცენდა და გან-  
 მტკიცდა ზედმეტ დისციპლინისა და სასტიკ ზომების საფუ-  
 ძველზე.

\* \*

მთავრობამ ფრიად საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა რკი-  
 ნის გზების შემოსავალ-გასავლის შესახებ. მარტო კავკასიის  
 რკინის გზებიდან ხაზინას წლიურათ უკანასკნელი ათი მილი-  
 ონი წმინდა მოსაგები რჩება. ასეთი მოსაგებია შუა რუსეთის  
 რკინის გზებიდანაც. მაგრამ რუსეთს ზარალის მეტი არაფერი  
 რჩება რა. თურმე მთელს მოგებას, ციმბირის რკინის გზა  
 ყლაპავს...

\* \*

ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებამ რუსეთში მო-  
 ითხოვა განვითარებული და საქმის მკოდნე კაცები. განვითარ-  
 რებული, საქმის მკოდნე და პრაქტიკულ პირებს გომნახიები  
 და სხვა საშუალო სასწავლებლები ვერ იძლეოდა. ისეთი პი-  
 რები გამოდიოდნენ, რომლებსაც თავისი არც აზრი ჰქონდა  
 და არც თავი. და ეს არც იყო მაინდა მაინც საჭირო...

ხოლო ვაჭრობასა და მრეწველობაში ცოცხალი ადამიან-  
 ნებია საჭირო, რომლებსა თავის თავი მათვე აბარია, წახდენ-  
 ნენ თუ გააკეთებენ საქმეს, თავის საკუთარ ინტერესებს ეხება  
 და არა ვინმე სხვისას. და აი, ვაჭართა საზოგადოებებმა მო-  
 ინდომეს ისეთი სასწავლებლების დაარსება, რომლებიც და-  
 კმაყოფილებდა აღებ-მიცემის და მრეწველობის მოთხოვნილო-  
 ბებს და რომლებიც ახლო იდგომებოდა ცხოვრების მიმდინა-  
 რებობასთან, მოინდომეს და განახორციელეს კიდევ თავის მი-  
 ზანი.— გაამრავლეს თითქმის ყველა ქალაქებში საშუალო კო-  
 მერციული სასწავლებლები. ბუნებრივი იყო, რომ თუ კომერ-  
 ციული სასწავლებლები რომელიმე სამინისტროს უნდა და-  
 ქვემდებარებოდა, უნდა დაქვემდებარებოდა იმას, რომელიც  
 უფრო ახლო იდგა რუსეთის აღებ-მიცემობასა და მრეწველობასთან.  
 ასეთი უმაღლესი დაწესებულება არის ფინანსთა სამინისტრო და სასწავლებლებიც მას ჩაე-  
 ბარა. ფინანსთა სამინისტრომ, დამოუკიდებელმა თავის  
 საქმეში, თავის გემოზე მოაწყო ყველაფერი და მთელი სწავ-  
 ლების სისტემა შეუფარდა ვაჭრობის მოთხოვნილებებს და  
 იყო ასე საქმე გაჩარხული. სულ ათი წლის განმავლობაში  
 140 კომერციული სასწავლებელი დაარსდა, სადაც სწავლობს  
 35,000 მოსწავლე. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეთა რიც-  
 ხვი ცამეტჯერ გადიდა, სასწავლებელთა რიცხვი კი ათჯერ  
 გაძლიერდა. ასეთი წარმატება და წინ სვლა არ მოლანდებია  
 არც სასულიერო სასწავლებლებს და არც საერო განათლების  
 სამინისტროს შკოლებს. კომერციულ სასწავლებლებს ინახავ-  
 და და ინახავს თვითონ ვაჭართა კლასი, მათი საზოგადოებების  
 შენახვაზე იხარჯება სამ მილიონ ნახევარი მანეთი, ამ ხარჯ-

ში ხაზინა მხოლოდ 30 ათას მანეთს იძლევა. ამ ბოლო დროს,  
 როცა ხმა გავარდა, კომერციული სასწავლებლები ფინანსთა  
 სამინისტროდან საერო განათლების სამინისტროს ქნდა—დაე-  
 ქვემდებაროსო, შეიძრა მთელი რუსეთის განათლების და  
 ფაქტურა მეშხანური წოდება; ყველას გულში მოხვდა ასეთი  
 ამბის გაგონება, ყველა აშფოთდა: რა ამბავია, სასწავლებლები  
 დავიარსეთ, სასწავლებლებს ჩვენ ვინახავთ, კარგადაც მი-  
 გვყავს საქმე და რაღა საერო განათლების სამინისტროს უნდა  
 დამორჩილოსო. პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის და სხვა  
 ქალაქების ვაჭართა საზოგადოებანი და სამრეწველო ბირებები  
 შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე,—ჩვენ სასწავლებლებს  
 საერო განათლების სამინისტროს ნუ დაუქვემდებარებთო...

\* \*

მღვდელი სმირიაგინ ძლიერ გაბრაზებულია რუსეთის  
 ხალხზე. „ხალხი გაირყვნა გაველურდა, გათახსირდაო. არ  
 არის პატივისცემა მღვდლისადმი, სარწმუნოებისადმი, უფრო-  
 სისადმი. თავისუფლება, „თავისუფალი ვარ, თავისუფლათ  
 მინდა ვიცხოვრო“, ყველას ეს გარყვნილი სიტყვები აკერია  
 ენახეო. მან წიგნი დასწერა: „ინტელიგენცია და ხალხი“. ხალხის  
 წახდენის მიზეზათ ინტელიგენციას ასახელებს. ინტე-  
 ლიგენციამ დაღუპა და დააქცია ქვეყანაო. საბრალო ინტელი-  
 გენცია! ყველაფერში შენ ხარ დანაშაული. რასაც შენ „კარგს“,  
 „ალორძინებას“ უძახი, იმას სხვები „გარყვნას“ და გათახსი-  
 რებას უწოდებენ.

### უცხოეთის ამბები

#### ზარღამენტის ჰერკული სხდომება საფრანგეთში.

ზაფხულის ვაკაციების განმავლობაში კომბმა და მისმა  
 მინისტრებმა ბევრი სიტყვები წარმოსთქვეს თავის მომხრეთა  
 გასამხნეველათ. მათ განაცხადეს, რომ განაგრძობენ შეური-  
 გებელ ბრძოლას სასულიერო კონგრეგაციებთან, საბოლოოდ  
 დაიხსნიან ქვეყანას კლერიკალურ აღზრდისაგან და ამით მოა-  
 მზადებენ ნიადაგს ეკლესიის სახელმწიფოსგან განსათავისუფ-  
 ლებლათ, რასაც ასე მოუთმენლათ მოელის საფრანგეთის  
 ხალხი. დაახლოვებით ასეთი იყო ყველა მათი სიტყვების ში-  
 ნაარსი. ამასთანავე კომბი ირწმუნებოდა, რომ რადიკალური  
 უმრავლესობა სრულიადაც არ წარმოადგენს ერთი მეორის  
 მოწინააღმდეგე ჯგუფებს, რომ მათ შორის სრული ერთობა სუ-  
 ფევს და ამ ნაირათ სამინისტროს მდგომარეობა მტკიცე საფუ-  
 ძველზეა დამყარებულიო. მიუხედავთ ამისა პირველსავე კრე-  
 ბებზე გამოიჩინა, რომ სამინისტროს მომხრენი არც ისე ერთ-  
 სულნი ყოფილან, როგორც კომბი ირწმუნებოდა. მას არა  
 ერთხელ მოუხდა ხან რადიკალ-სოციალისტებთან, ხან რადი-  
 კალბთან შეტაკება, თუმცა მისი რეზოლიუციები ყოველთვის  
 უმრავლესობით გადიოდა. მაგრამ ეს უმრავლესობა ერთ გა-  
 ნსაზღვრულ ნაწილს არ შეადგენდა, ის იყო უმრავლესობა  
 შემთხვევითი, რომელშიაც ხანდისხან ნაციონალისტები შედიო-  
 დნენ, ხოლო რადიკალ-სოციალისტები კი მის წინააღმდეგ აძლე-  
 ვდნენ ხმას. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, უხერხული  
 და შეუძლებელი იყო. სამინისტრო მუდამ რყევაში უნდა  
 დარჩენილიყო, მას არასოდეს არ შეეძლებოდა გადაჭრით ეთქვა,  
 რომ უმრავლესობა მას მხარს დაუჭერს.

ამას გრძობდა კომბიც და ამიტომ მისი პირველი ყურა-  
 დლება ამ კითხვას ქონდა მიქცეული. მის წინ ასეთი დილემა  
 იდო: ან უნდა სამინისტრო გადამდგარიყო, ან მუდმივი გან-  
 საზღვული უმრავლესობა მოეპოვებია. პირველი გზა მას  
 ძლიერ ეჩოთირებოდა მას შემდეგ, რაც ისე დაარწმუნა ქვე-  
 ყანა, სამინისტრო მტკიცე ნიადაგზე დგასო. ამასთანავე მო-

წინააღმდეგე გაზეთებს განგაში გაჰქონდათ: კომბის უსამართლო პოლიტიკას ბოლო ედება, კომბის სამინისტროს არა დარჩენია—რა ვადადგომის მეტო. მართლაც, კომბიც აცხადებდა: სამინისტროს თავს ვანებებ, თუ საქმის მდგომარეობა ასე გაგრძელდოდა. ნამდვილათ კი მას სრულიადაც არ უნდოდა სამინისტროს დატოვება, არა. ის მხოლოდ მომავალი საპარლამენტო კრიზისით აშინებდა თავის მომხრეებს და უნდოდა მათში შეთანხმება გამოეწვია. ამ ნაირათ ის ამტკიცებდა და ამაგრებდა თავის უმრავლესობას და კიდევაც მიაღწია ამას. ოთხივე რადიკალურმა ჯგუფმა, რომელნიც შეადგენენ სამინისტროს უმრავლესობას, მოილაპარაკეს და დიდი თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს მხარი მისცენ კომბის წინადადებებს, ხოლო რომ ასეთი ინციდენტები აღარ განმეორდეს, ყოველ საკითხის შესახებ წინდაწინვე მოილაპარაკონ და მხოლოდ შეთანხმების შემდეგ შეიტანონ პარლამენტში.

**სრულდები შრომის ბიუჯეტის წინადადება.**

არც ერთი საკითხი ისე ერთსულათ არ გასულა საფრანგეთის პარლამენტში, როგორც კითხვა კერძო შრომის ბიუჯეტის დახურვის შესახებ. შრომის ბიუჯეტი ერთი აუცილებლათ საჭირო დაწესებულებათაგანია კაპიტალისტურ წესწყობილებაში. ის აწვდის შრომელს: ადგილის მძებნელს შეძლებას ადრე და მალე შეიტყოს სად არის საჭირო მისი მუშა ხელი, საით უნდა მიაშუროს მან, რომ ლუკმა-პური იშოვოს. მუშას ხომ თავის ძალ-ღონის მეტი არაფერი გააჩნია გასაყიდი და თუ ამის მუშტარი დროზე ვერ იშოვა, უეჭველათ ან მათხოვრობა მოეწიოს, ან შიმშილით სულის ამოხდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თანამედროვე წყობილებაში მუდამ ათასობით და ათი-ათასობით რჩება მუშა უსაქმოდ, ადვილათ წარმოვიდგინოთ, რამდენ სარგებლობას მოუტანს ამით დამშეულ ხალხს ადრე მიწოდება ისეთს ცნობების, თუ სად იშოვება სამუშაო, სად ეჭირვებათ მუშა-ხელი. რაი ასეთი ცნობების მოწოდებას კისრულობს შრომის ბიუჯეტი. მარა არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ შრომის ბაზრის დაარსება საკმაო იყოს, რომ უმუშევრობა სრულიად გაქრეს და ყველას დღიური ლუკმა-პურის თავის შრომით შეძენის შეძლება მიეცეს. არა, უმუშევრობას უფრო ღრმა მიზეზები აქვს თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში, ის აუცილებელი შედეგია და მოთხოვნილება კაპიტალიზმისა და სანამ არსებობს ეს უკანასკნელი, მანამ იქნება პირველიც. შრომის ბიუჯეტს არ შეუძლია ამ მიზეზის მოსპობა და მაშასადამე არც უმუშევრობის გაქრობა. მისი როლი უფრო მცირეა. ის მხოლოდ ცდილობს, რომ საზოგადოებას საჭირო მუშა ძალა დროზე მიაწოდოს და საჭირო რიცხვი მუშებისა მუდამ სამუშაოზე ამყოფოს. ამით ის ამცირებს უმუშევართა რიცხვს, რადგან უამისოთ შეიძლება ბოდა, ერთ ადგილს მეტი რიცხვი უმუშევრათ იდგეს, და არ კი იცოდეს, რომ სხვაგან მათი ძალა საჭიროა... მაგრამ ახლანდელ დროში შესაღებელი ყოფილა ყოველგვარ სასარგებლო დაწესებულებების ექსპლუატაციის რეგულაციის იარაღათ გადაქცევა. ასე დამართა შრომის ბიუჯეტსაც. იქ, სადაც მუშებს თავის ორგანიზაციები აქვთ, ისინი თავის ბიუჯეტსაც აარსებენ და კერძო ბიუჯეტს არ საჭიროებენ. მაგრამ წვრილ სახელოსნოების მუშები, მოსამსახურეები, მებულკეები და სხვ. ამას მოკლებული არიან და ძალაუფლებურათ უნდა კერძო ბიუჯეტის შეამდგომლობას მიმართონ. ეს უკანასკნელი კი თავის სასარგებლოთ იყენებენ მათ მდგომარეობას. განცხადებათა ბიუჯეტი, რომელნიც ამ შემთხვევაში ხდებიან პატარა შრომის ბიუჯეტათ, მისდევენ რასაკვირველია, მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებს, რომელიც სრულიად წინააღმდეგება სამუშაოს მძებნელთა ინტერესებს.

რაც უფრო ბევრია სამუშაოს მძებნელთა რიცხვი და რაც უფრო მალე იცვლიან მალაზიებში თუ კერძო პირებთან მოსამსახურენი ადგილს, მით უფრო ხშირათ მიმართავენ ამ განცხადებათა კანტორის შემწეობას და მით მეტ სარგებლობას მისცემენ მის პატრონებს. ამ ბიუჯეტებს ხელში უჭირავთ თავის კლიენტები და თავის ნებაზე ყვლეფენ მათ: ვინც წინააღმდეგობას, ურჩობას გაუწევს, ის დიდხანს ვერ ეღირსება ადგილის შოვნას. ამ ნაირათ ეს ბიუჯეტი მშრომელთა დახმარების მაგიერ, მათ ექსპლუატატორებათ გადაქცენ. ისინი არავითარ საშვალეებს არ ერიდებიან თავის გასამდიდრებლათ. მემალაზიებს პირობით ეკვირან, რომ ამ უკანასკნელებმა მათი გაგზავნილი მუშა განსაზღვრულ ვადის შემდეგ თავისთან აღარ დაიყენონ და ამ ნაირათ ხელოვნურათ ქმნიან მუდმივ სამუშაოს მძებნელთა საკმაო რიცხვს.

თავის შრომას ეს ბიუჯეტი მეტათ ძვირათ აფასებენ. მარტო ჩაწერა ადრესისა საქმის მძებნელთა სიაში 60 კაპეკამდე ჯდება. ამას გარდა ადგილების შოვნისათვის მუშას უნდა პირველი თვის ჯამაგირის 10 პროცენტიდან 33 პროცენტამდის მათ აძლიონ და სხვა. ამასთანავე ისინი ცდილობენ მუშას რაც შეიძლება მალე დაკარგოდა ადგილი ამ ნაირათ მაგ. ერთმა მუშამ 146 დღის განმავლობაში 96 ფრანკი (45 მანეთამდის) დახარჯა ბიუჯეტზე.

ასეთი წყობილებისაგან თავის დახწევას დიდი ხანია ფიქრობდენ მუშები, პარლამენტმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალით 5 წლის განმავლობაში ყველა კერძო ბიუჯეტი უნდა დაკეტილიყო. მაგრამ ხალხმა ვერ მოითმინა ხუთი წლის განმავლობაში ისევ ამ ბიუჯეტის ხელში დარჩენა და ერთს დღეს მიღეწ-მოღეწა ასეთი ბიუჯეტი. პოლიციამ შეიპყრო რამდენიმე არეულობის მონაწილენი. ამის შემდეგ პარლამენტის წინაშე ხელახლა წარსდგა კითხვა—ბიუჯეტის დახურვის შესახებ და კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა ბიუჯეტის დაუყოვნებლივ დახურვა და მათ მაგიერ ქალაქის მუნიციპალტეტის და სხვა უფასო ბიუჯეტის რიცხვის გაზრდა.

**ს ი მ ლ მ რ ს**

ერთხელ კვლავ შევიფრთხილებ, საზღვარს გადალახავ ფრენითა; დავაწიოკებ სამყაროს, ცას გავეკვრები ფრთებითა; მახვილით გავკვეთ, გავაპობ, რასაც ვერ გავჭრი ენითა; მეყო, რაც წყლული ვაყუჩე, კვნესით და ცრემლთა დენითა.

მსურს გავდაცალო მთის მწვერვალს გარს ხავსი მოკიდებული; ავაყვავილო ცხოვრება, ჩამქნარი, ჩაობებული; გავამხნევე—გავაძლიერო, ვინცა აცრემლებული... ნუ ფიქრობთ ფრთები დაუშვა, ცეცხლი ვარ, ცეცხლშივ ვლებული.

ჩვენ მახეს ვუგებთ და ვსდევნით გაიძვერებს და ცბიერებს, გაკაეებული მარჯვენა ძალს გვმატებს, გვალონიერებს;

ვიხილავთ ტანჯულ სახესა,  
 გაგვამხნევს, გაგვადლიერებს.  
 გამარჯვებითამც უვლიათ,  
 გულით მხნეთ, სულით ძლიერებს.

ბ. ახალპირელი.

# „გასავლელში“

ნ. ტომინას. თარგმანი.

გაზაფხულის თბილი საღამო იდგა. ჩამავალი მზის სხივები ალმაცერათ ეთამაშებოდნენ შორს ეკლესიის გუმბათებს და „ფელიქსის და ამხ.“ თუთუნის ფაბრიკის ვეებერთელა ფანჯრებში წითლათ ელვარობდნენ. წყლის დაქანებულ ნაპირზე ლამაზათ გაშენებული ქალაქი ტალახიანი უბანით იყო მოშორებული ფაბრიკაზე. ამ უბანში თავი მოეყარათ ყოველგვარ ხელოსნებს, მათხოვრებს, ბოსიაკებს, ქარხნის მუშებს, ერთი სიტყვით, ყველა იმ „პატარა ადამიანებს“, რომლებსაც მძიმე შრომა არგუნა ბედმა და ნაცვლათ ამისა ლუქმა პურითაც კი არ უზრუნველყო მათი ცხოვრება. დღით ამ უბნის მცხოვრებლები მუშაობაში იყვნენ გართული და უბანიც მიწყნარებული იყო. ღამით კი გაისმოდა მყრალი ნაგვით დატვირთული ურემების ქრიალი, სიმღერები, „ყარაულის“ ძახილი, პოლიციელის სტვენა, ძაღლების ყმუილი. უბნის პატარა ქოხების გვერდით მედიდურათ წამოქიმულიყვენ ფაბრიკის დიდრონი შენობები, რომელნიც ძალაუნებურათ იპყრობდნენ გამვლელის ყურადღებას თავისი სიღამაზით და სიმაგრით. ფაბრიკა და ყველა მისი შენობები მომწყვდევლი იყო დიდ ეზოში, რომელსაც გარს ერტყა რკინის გალავანი. ეზო პატარა გზებით იყო დასერილი. აქ თქვენ შენიშნავდით პატარა აკაციებს; აქვე ელექტრონის ფარნები ეკიდა, თვითონ უმთავრესს შენობაზე ამართულიყო წითელი, წვრილი მილი. დიდ ქიშკართან, იქ სადაც „გასავლელი“ იყო და სადაც ნახევრათ მრგვალი, ყვითელი და თეთრი მედლებით დაფარული ვივესკა ეკიდა ზედ წარწერით „ხელოვნებისთვის“, ოთხი „სტოროჟი“ იდგნენ და ვილაც მაღალი ტანის ვაჟბატონის სიტყვებს გულდასმით ისმენდნენ. ეს ვაჟბატონი, ასე ოცდაათი წლისა იქნებოდა, ტანზე მდიდრული, უკანასკნელ მოდაზე შეყვრილი ტანისამოსი ეცვა, წვერები მაღლა ჰქონდა აგრეხილი, დიდრონი თვალები დაქვეტლი.

პირველსავე შეხედვაზე შეატყობდით, რომ მისთვის სირცხვილი უცნობი ხილი იყო. ის იდგა დონჯ შემოყრილი, როგორც შემვენის უფლებით აღჭურვილს, და სალოკი თითით იმუქრებოდა; „სტოროჟები“ შიშით ადევნებდნენ თვალს მისი თითის მოძრაობას, მონურათ თავებს უქნევდნენ, თითქოს ამით უმტკიცებდნენ, რომ ისინი სულით და ხორციით მის საკუთრებას შეადგენენ და მზათ არიან ყოველი მისი ბრძანება სისწორით შესრულონ.

გაისმა სტვენა. სტოროჟები ელვასავით „გასავლელისკენ“ გაქანდნენ, გააღეს კარები და გასავლელის ორთავ მხარეს ერთი მეორის პირდაპირ დადგნენ. წითელ ულვაშებიანი ვაჟბატონი კი უდარდელათ მივიდა ალაყაფის კარებთან, ხელები უკან შემოიღო, და ისეთ ნაირათ გასცქეროდა ჩამავალ მზეს, თითქოს ემუქრებოდა: თუ არ გასწორებულხარ, ხვალვე დაგიტხოვ ადგილიდან, ამას თხოულობს სამსახურის ინტერესებო...

ჩამავალი მზე, „გასავლელის“ კარებს მისდგომოდა, თითქოს სცილობდა, რაც შეიძლება, უკეთ გაენათებია ვიწრო დერეფანი, რომელზედაც მძიმეთ მოაბიჯებდნენ მუშები, ქალები და კაცები. ისინი ზანტათ, თითო თითოთ მოდიოდნენ ყარაულებთან, რომელნიც ერთგულათ უსინჯავდნენ მათ უბეებს, ჯიბეებს, ჯიბებს და ყველა ადგილს, სადაც კი ფაბრიკის ქონების დამალვა შეიძლებოდა. ამ გაჩხრეკვას (მუშები მას „ნჯღრეკვას“ უწოდებდნენ) ყველა მუშა ერთი თვალთ არ უყურებდა. ზრეკვით მუშები ასწევდა ხოლმე ხელებს და დასაკლავ ცხვარივით მიეცემოდა ხელში გამჩხრეკლებს, ზოგნი გულ-გრილათ უყურებდნენ ამას და მხოლოდ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე მოშორებოდნენ ამ ცერემონიას. ზოგნი კი უფრო „ემშაკები“ გამოდიოდნენ, ისინი სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე გამჩხრეკლებისათვის ეწყენინებიათ, ან ფეხს დაადგამდნენ ფეხზე, ან უცაბედათ გვერდში მუჯლუგუნს წაკრავდნენ; ხელებს ჯიბიდან არ იღებდნენ, ხშირათ მჩხრეკვებს ხელიდან უსხლტებოდნენ და ამით მათ ეჭვს და ბრახს აორკეცებდნენ. ქალები რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარდებოდნენ ასეთ გასინჯვის დროს: რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ ავით არიანო! როცა მჩხრეკლები მათ მუცელს, გვერდებს, ზურგსა და გულზე ხელს უსვამდნენ, ისინი ინსტიქტიურათ იკრუნჩხებოდნენ თითქო მტკივან ადგილს შეეხნო.

მეონიც ერთგულათ უსინჯავდნენ მათ უბეებს, ჯიბეებს, ჯიბებს და ყველა ადგილს, სადაც კი ფაბრიკის ქონების დამალვა შეიძლებოდა. ამ გაჩხრეკვას (მუშები მას „ნჯღრეკვას“ უწოდებდნენ) ყველა მუშა ერთი თვალთ არ უყურებდა. ზრეკვით მუშები ასწევდა ხოლმე ხელებს და დასაკლავ ცხვარივით მიეცემოდა ხელში გამჩხრეკლებს, ზოგნი გულ-გრილათ უყურებდნენ ამას და მხოლოდ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე მოშორებოდნენ ამ ცერემონიას. ზოგნი კი უფრო „ემშაკები“ გამოდიოდნენ, ისინი სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე გამჩხრეკლებისათვის ეწყენინებიათ, ან ფეხს დაადგამდნენ ფეხზე, ან უცაბედათ გვერდში მუჯლუგუნს წაკრავდნენ; ხელებს ჯიბიდან არ იღებდნენ, ხშირათ მჩხრეკვებს ხელიდან უსხლტებოდნენ და ამით მათ ეჭვს და ბრახს აორკეცებდნენ. ქალები რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარდებოდნენ ასეთ გასინჯვის დროს: რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ ავით არიანო! როცა მჩხრეკლები მათ მუცელს, გვერდებს, ზურგსა და გულზე ხელს უსვამდნენ, ისინი ინსტიქტიურათ იკრუნჩხებოდნენ თითქო მტკივან ადგილს შეეხნო.

ამ „ნჯღრეკვის“ შემწეობით ფაბრიკის ადმინისტრაცია რწმუნდებოდა მუშების სრულ პატიოსნებაში... მეორე დღემდის.

მუშების მკრთალ, გამხდარ პირისახეზე დაქანცულობა იხატებოდა... ისინი გამოდიოდნენ ფაბრიკიდან მოდუნებულნი, ერთხანს გაშტერებული იყურებოდნენ აქეთ-იქით, — თითქოს პირველათ ხედავდნენ მზის სინათლეს. გეგონებოდათ, ავთამყოფები გაუშვიათ შინ, რომ თავის ქოხებში დალიონ სულიო. მაგრამ ეს მხოლოდ გეგონებოდათ. ნამდვილათ კი ესენი ცოცხალი ადამიანები იყვნენ, რომელნიც ისევე ფიქრობენ, იტანჯებიან, ოცნებობენ, როგორც სხვა ადამიანები...

დღეს ისინი რაღაც განსაკუთრებულ საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი. არც ერთი მათგანი არ ჩქარობდა ჩვეულებრივ სახლში წასვლას, იდგნენ ჯგუფ ჯგუფათ „გასავლელში“ და ერთი მეორის მხრებზე დაყრდნობილი, მისჩერებოდნენ „გასავლელის კარებს რაღაც არა ჩვეულებრივ ამბების მოლოდინში.

საერთო ყურადღების საგანი იყო ახალგაზრდა ქალი № 115, სახელათ ანუშკა. ის გააჩერეს წითელ ულვაშებიან მმართველის ბრძანებით, რომ რაც შეიძლება სასტიკათ დაეჩხრიკათ. ეს იყო მეტათ ზნე დაცემული, გარყენილი კაცი, და თავის მსუნაგობისთვის არა ერთხელ და ოჯგელ ყოფილა მიბეგვილი გაბრაზებულ ქმრებისა და ძმებისაგან. და აი ამისთანა კაცს ქონდა მინიჭებული განუსაზღვრელი უფლება მუშა კაცების და ქალების სხეულის ყოველი ნაწილი დაეჩხრიკა, რომ ფაბრიკის ქონება არავის მოეპარა. ხაზინი ძლიერ აფასებდა მის სამსახურს, თავდადებულობას და „გამჭრიახობას და ყოველთვის პეტრ ივანისს უძახდა. მუშებმა კი მას მეტ სახელათ „ყვითელი“ დაარქვეს.

ანუშკას ყველანი იცნობდნენ: ეს იყო სათნო გოგონა, მაღალი და მოყვანილი ტანის, როგორც ალვის ხე. მის შავ თვალებში ჩუმი დარდი იხატებოდა, ლამაზ სახეს, თითქოს მზის სხივიაო, კიდევ უფრო უშვენებდა თავაზიანი ღიმილი... ისიც მუშა იყო, როგორც სხვები, მაგრამ მის სახეზე რაღაც განსაკუთრებული, თითქოს თანდაყოლილი სულიერი სიფაქიზე იხატებოდა. ფაბრიკის დახშულ ცხოვრებაში ის სწორეთ ცით მოვლენილ ანგელოზსა გავდა, რომელსაც სასოება და იმედი შექონდა ყველას გულში, დროებით ზვიწყებდა ცხოვრების სიღუბჭირეს და სიავს. ახალგაზრდები მათე ოცნებობდნენ, მის ქმრობას ნატრობდნენ. „ყვითელმაც“ მიაქცია მას თავის ყურადღება, ის ყოველთვის აძლევდა პასუხს მის საღამოზე და სხვებზე უფრო ხშირათ იბარებდა თავის კანტორაში სხვა-და-სხვა საქ-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მეგობრის გამო. ანუშკას სრულიად უბრალოდ, მაგრამ ამასთანავე განსაკუთრებულის ღირსებით ეჭირა თავი, და ყველას გულში უნებურათ სიყვარულს იწვევდა... ყველა გრძობდა, რომ ის, რაც უნდა იყო, მათი წრიდანაა, და „ფელიქსის და ამხ.“ ფაბრიკის მუშებს თავი მოქონდათ მითი. ის იყო მათი ნორჩი ყვავილი, ფაბრიკის დახშულ ჰაერში გამოზრდილი.

ახლა ის გააჩერეს განსაკუთრებით გასაჩხრეკათ, რადგან რაღაც მოსაზრების გამო პაპიროსების მოპარვა დასწამეს... ამ გარემოებამ ყველა მუშები გააცვიფრა. ყველანი თავს შეურაცყოფილათ გრძობდნენ, ყველა სწუხდა, თითქოს ანუშკას ხაზინის პაპიროსებთან ერთათ მათთვის ძვირფასი განძი მოეტაცოს, ისეთი განძი, რომელსაც, როგორც სიყმაწვილეს, რა კი ერთხელ დაიკარგავ, ვეღარ აღადგენ, ვერც დაივიწყებ. ანუშკამ ამ დროს იდგა გასაველელ კარებში ფერმიხდილი, აღელვებული, ღე გაფანტულათ, უაზროდ შესცქეროდა თავის გამჩხრეკლებს. სჩანდა, რომ მახე მიპყრობილი ხალხის თვალები, საშინელ ტანჯვას აყენებდა.

გამოჩნდა „ყვითელი“, წყნარათ გადახედა ქალს თავის გადმობრეცილი თვალებით და ისე ამოიხვნეშა, თითქოს მეტის-მეტ უსიამოვნებას გრძობდა ასეთ მძიმე მოვალეობის ასრულებით. ხალხი შეინძრა, მჭიდროდ მიეკრნენ ერთი მეორეს და თითის წვერებზე შემდგარი ცდილობდნენ დაენახათ, რა მოხდებოდა. ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდი. თამამათ სუნთქვასაც კი ვერ ბედავდნენ, რომ სიჩუმე არ დაერღვიათ.

— არა ვარ დამნაშავე—ოდნავ წაილულულა ქალმა—ღმერთმა იცოდეს, არა ვარ დამნაშავე! გულწრფელათ გაიმეორა მან—მე არაოდეს არაფერი არ მომიპარავს: გამიშვიდ, პეტრ ივანიჩ! „ყვითელმა“ ვეღარ შეძლო თანამგრძობი აღმანიანის როლის თამაში და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გაუბრინა. ის სიამოვნებას გრძობდა, როცა ქალის მღელვარებას ხედავდა და განზრახ აგვიანებდა ჩხრეკას.

ანუშკას მოწყვეტილივით ჩამოეკიდა ძირს ორივე ხელე-ბი და გაშეშებული იდგა შუა „გასაველელში“, რაღაცას ცუდს მოელოდა, არ იცოდა რითი გათავდებოდა ყველა ეს და საშინლათ იტანჯებოდა.

— გაჩხრეკეთ!—დაიყვირა „ყვითელმა“ რიხიანის ხმით და თითით უჩვენა ანუშკაზე. მუშები ერთი თითქოს კიდევ შეკრთნენ და გულიდან მწარე ხვნეშა ამოუშვეს. ისევ სამარისებური სიჩუმე გამეფდა...

ორი მოსამსახურე შეუდგა ბრძანების ასრულებას...ერთმა დაუჩხრიკა სახელოები, გაუხსნა გულის პირი, გამოუჩინა შიშველი გულ-მკერდი, მეორემ ამ დროს ჯიბები გადმოუბრუნა, იუბკის ნაოჭები დაუძებნა, და ჩულქების შიგნითაც ჩაუყო ხელები. ქალი გაფითრდა, გული აუშლვრია ასეთმა მხეცურმა ძალ-მომრეობამ, და ტიტველ ხორცზე გამჩხრეკის ხელის ყოველ მიკარებაზე მთელი სხეული უკანკალებდა. ხალხი გაშტერებული უცქერდა ამ სანახაობას.

„ყვითელი“ იქვე იდგა. მისი მხეცური თვალები, გაფაციცებით მისჩერებოდნენ ქალს, სახეზე საზოფლარი გრძობა ეხატებოდა, ტუჩები უთრთოდნენ...

საშინელი წუთი იდგა. ყველა ამ საზოფლარი მოქმედების მონაწილეთ თვლიდა თავს, ყველა გრძობდა, რომ უდანაშაულო, უმწვეო მსხვერპლი დაიტანჯა, და ერთმანეთისთვის სირცხვილით თვალები ვეღარ გაესწორებინათ.—არაფერი არა აქვს, მოახსენა გამჩხრეკელმა, ერთი პაპიროსიც კი არ აღმოუჩნდა.

— გაუშვით!—უბრძანა ყვითელმა და მედიდურათ გასწვია უმთავრეს შენობისკენ.

ყველამ თავისუფლათ ამოისუნთქა, დასტვინა, ყვითელს

ზურგს უკან მუშტი მოუდგრა და აქეთ იქით ვაიფანტა. ყარაულებიც ჩამოდგნენ. მარა ანუშკა თითქოს გაქცევადო, აღვილიდან არ იძროდა. ის იდგა იქვე გულ-მოლოდინით, თანესამოს აწეწილი, თითქოს ჩამოსხმული ქანდაკებად, და ვერ გამოარკვევლიყო, რა მოხდა მის თავს. ხალხი ყაყანიტ წავიდწამოვიდა და გზადაგზა ბჭობდა ნახულზე. მოისმოდა მხოლოდ გაცხარებული, ერთი-მეორეში არეული სიტყვები, რომლებშიც ვერ გააჩრევდა, კერძო კაცის აზრს; ყურს მოკრავდი მხოლოდ ცალკე სიტყვებს: საძაგელი!.. ან კიდევ, „ანუშკა ასეთი გოგოა?!“ „არა, ძმაო, ის ქაჯია“!.. და სხვ. მხოლოდ ხნიერი მუშები მიდიოდნენ ჩუმათ და მოწყენილი. ისინი შეეჩვივნენ ასეთ შემთხვევებს და ვერც კი წარმოედგინათ, თუ ასეთ წესების შეცვლა ოდესმე შეიძლებოდა...

როცა ხალხი შემცირდა, ანუშკა მხოლოდ მაშინ გამოერკვა, გამოვიდა „გასაველელიდან“ თავის ამხანავ ქალებთან ერთად და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შინისკენ. ის შემინებული იცქირებოდა გარემომო და თითქოს გრძობდა კიდევ, რომ ისევ „ანჯღრევვენ“, ილღიებში და ფეხებში ხელებს უფათურებენ... მას უნდოდა დაეყვირა, შეველა ეთხოვა, მაგრამ მასთან იყვენ მისი ამხანავები მასავით დამონებულნი, დარცხვენილნი, დაბეჩავებულნი, როგორც ის, უშემწეო, უპატრონონი... თვალებზე ცრემლი მოადგა და წვეთი-წვეთათ ლოყაზე ჩამოედინა.

— ნუ ტირი, გენაცვა, უთხრა ერთმა მუშა ქალმა, და გაჩხრეკის დროს გადმობრუნებული ჯიბები გაუსწორა... განა შენა ხარ პირველი მაგალითი? ჩვენისთანანებს ყველგან ასე ჩაგრავენ. საქსოვს და სართავ ფაბრიკებშიაც ყველგან ასეა, ვინ არ იცის. „ყვითელის“ ხელში მხოლოდ ის არის მოსვენებული, ვინც სირცხვილს დაკარგავს და მას საყვარლათ დაუჯდება. ანუშკამ მხოლოდ თავი გააქნია; უნდოდა რაღაც ეთქვა, პირი გააღო მარა სიტყვა პირში შეაშრა.

— პატიოსანი კი უნდა ასე შეარცხვინოს!?—ბრაზმორევით შენიშნა მეორე ამხანავმა.

— შეიბნიე მაინც, დაიავ... ხალხი გხედავს, ვინ იცის, რას იფიქრებს... შეიბნიე, გენაცვა... და ქალები გარშემო შამოეფარნენ მას, რომ ხალხს არ დაენახა. ანუშკა მხოლოდ ახლა მოვიდა გონს და საჩქაროთ დაიწყო ღილების შებნევა, მარა თითები უკანკალებდნენ. მან დაჩქირა მუტში გულზე ტანისამოსი და მეორე ხელით თვალიდან ცრემლები ამოიწმინდა.

— აბა ხაზინის ქალიშვილს გაუბედოს მასე იმ უსირცხვილო მხეცმა და ნახავს, რა დაემართება! სთქვა ხნიერმა ქალმა და ძალზე ხველებას მოყვა: თუთუნის მტვერს მოეშხამა მისი გული და მან ღიღინა ვერ შეიძლო ხველების შეწყვეტა... საბრალო მოხუცი ყველას ეცოდებოდა და ამან კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა იქ მყოფებზე...

პატარა, ქარისაგან წასაქცევათ გადახრილი სახლის წინ ანუშკა გამოემშვიდობა მეგობარ ქალებს და შევიდა თავის ნახევრათ დანგრეულ ქოხში.

დანარჩენებიც წავიდ წამოვიდნენ და გზაში ამბობდნენ:

— ტირის!.. ასე საჯაროთ თავი მოკრეს, სირცხვილი აქამეს და არა აქვს სატირალი?.. საქმრომაც არ მიატოვოს ამის გულისთვის ვინ იცის!.. მერე ხომ სხვებიც ცუდი თვალით შეხედავენ.

— მისი რა ბრაღია?

— არა გენაცვა!.. ვინაა მაგის გამჩრევი? სირცხვილ-ნაქამიაო და გათავდა!..

— მშობლები არ მოსთხოვენ ამის პასუხს...

— ეჰ! რა უნდა ქნან მშობლებმა? გაწყვეტინა მეორე ქალმა და თვალები ნაპერწკალივით აენთო. ვის უნდა მოს-

თხოვონ? „ყვითელმა“ თუ მოინდომა ხვალვე ყველას ქუჩაზე გაყრის, სადღა უნდა წავიდენ? ბზობლები!.. რა დიდი ბედენაა შენი მზობლები!.. განიმეორა მან და ისევ ხველა აუტყდა.

ყველანი გაჩუმდნენ და ჩაფიქრებული გაშორდნენ ერთმანეთს. არავის არ შეუმჩნევია საღამოს დიდი სურათი, ბრწყინვალე მზის სხივების ლაპლაპი ხეების და გუმბათების წვერებზე, ყველა მხოლოდ თავის გულში იხედებოდა და იქ კი მარტო ბნელი იყო, წყვედიანი ბნელი...

კან.

### ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

(საუბარი მკითხველთან)

#### II


საქონლის გაცვლა-გამოცვლა და ფული.

შენ თვითონ ადვილათ მიხედები, ჩემო მკითხველო, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა იქ, სადაც ყველა თვითონვე იკმაყოფილებს თვის საჭიროებას და ერთმანეთის ნივთი არ ესაჭიროებათ, მოუხერხებელია. გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ერთი ერთ ნივთს აკეთებს, მეორე მეორეს, მესამე მესამეს და ერთი მეორის გაკეთებულს საჭიროებენ, ერთი სიტყვით, სადაც შრომა განაწილებულია, ე. ი. საზოგადოების სხვადასხვა წევრი სხვადასხვა ნივთებს ამზადებენ. დღეს მეჩქემე ჩემსას კერავს არა იმიტომ, რომ თვითონ ჩაიცვას, არამედ მას საჩოხე სჭირია და შალის მქსოველს გაუცვლის თვის ნაწარმოებს. ამიტომ ის შალის მქსოველთან რაიმე განწყობილებაში დგება. აქედან ცხადია საცვლელ ღირებულებას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, გარეშე საზოგადოებისა მისი არსებობა შეუძლებელია, გაცვლისთვის საჭიროა საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან მჭიდროდამოკიდებულება, რთული ურთიერთობა. წარმოებას მწარმოებელი, საქონლის გამკეთებელი ეჭირვება, საქონელი უბატრონოთ ვერ გამობრძანდება ბაზარში, ის ადამიანმა უნდა გამოიტანოს ვასაყიდათ, დაუბრდაპიროს თვისი ნაშრომი სხვისას, შეადაროს, გამოიანგარიშოს და შემდეგ გასცვალოს. ამნაირათ ადამიანთა შორის წარმოების შესაფერი განწყობილება მყარდება. მხოლოდ ეს განწყობილება ხშირათ დაფარულია, გადაფურჩებული და ძნელი წარმოსადგენი. საზოგადოების თვითთული წევრი თითქო თავისთვის შრომობს, თითქო ის დამოკიდებულება ადამიანთა შორის, რომელიც მყარდება საქონლის გაცვლის დროს, შედეგი იყოს თვით საქონლის განსაკუთრებული თვისების და არა იმის, რომ შრომა საზოგადოებაში განაწილებულია და ამ შრომის ნაწარმოები საზოგადოებრივი ხასიათისაა. გამოდის თითქო მეჩქემე და შალის მქსოველი როდი მუშაობენ ერთმანეთისათვის ე. ი. ერთისა და მეორის შრომა როდია საჭირო საზოგადოებისათვის, არამედ თვით მათ ნაწარმოებს ჩემსას და შალს აქვთ რაღაც ისეთი უხილავი თვისება, რომლის საშუალებით ისინი ერთმანეთზე იცვლებიან. ბაზარში ჩვენ საქონლებს ვხედავთ და აქედან ის დასკვნა გამოყავთ ხოლმე, რომ ადამიანები როდი ხელმძღვანელობენ ამ გაცვლას, არამედ თვით საქონლები ხელმძღვანელობენ ადამიანთა მოქმედებას. ჩვენ ვამბობთ, საქონლის ფასი აიწია, დავარდა, მხოლოდ გვაფიწყდება ის უბრალო ქეშმარიტება, რომ ფასის აწევ-დაწევა ადამიანთაგან არის დამოკიდებული. ამნაირათ ადამიანთა ერთმანეთთან დამოკიდებულება ხშირათ ბევრს საქონლების ერთმანეთთან დამოკიდებულებათ ეჩვენებათ. ასეთ კრუმორწმუნეობას უწოდებენ „საქონლის ფეტიშიზმს“, რომელიც ხშირათ საქონლის

ხასიათს ბურჟუას აფარებს, შეუძლებლათ ყოფს მის გამოცვლას. ამიტომ როცა საქონელზე და საქონლის წარმოებაზე ვლაპარაკობთ, უთუოთ ეს კრუმორწმუნეობა ენციკლოპედიური იქნეს გონებიდან, „საქონლის ფეტიშიზმს“ უნდა დაუთმოს ნათელ და გონიერ შეხედულებას. ამის შემდეგ ჩვენ თამამათ შეგვიძლია დაახლოვებით გავცნოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროცესს, გავიგოთ მისი ნამდვილი ხასიათი და გამოვირკვიოთ მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორ იცვლება საქონელი საქონელზე? ავიღოთ ორი საქონელი: ერთი ფუთი პური და ხუთი ალაბი შალი; წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ფუთი პური უდრის ხუთ ალაბ შალს. შედარებით ჩვენ პურის ღირებულება შალში გამოვსახეთ და ეს ყოველთვის ასე ხდება: საქონლის ღირებულება მხოლოდ მეორე საქონელთან შედარებით გამოითქმება. პური და შალი, როგორც სახმარი ღირებულებანი, სულ სხვადასხვა საგნებს წარმოადგენენ, მხოლოდ როგორც საცვლელი ღირებულებანი ისინი ერთნაირი და ამიტომ მათი შედარება და გაცვლა შეიძლება. ჩვენს მაგალითში შალი უბრალო მასალაა, რომელშიც თვისი ღირებულება გამოსახა პურმა. თუ გვინდა შალის ღირებულების გამოთქმა პურს შევადარებთ, ე. ი. ერთის ადგილს მეორე დაიჭერს და მით ეხლა პური ხდება შალის ღირებულების გამომსახველი. ამაზე იტყვიან, მკითხველო, მეორე პირველის კეკაფაქტაა, ე. ი. ღირებულების გამომსახველი. აქ ერთს საქონელს მეორე-ერთს საქონელს ვადარებთ: პურს და შალს. ასე იყო ძველათ, პირვანდელ საზოგადოებაში, როცა გაცვლა-გამოცვლა შემთხვევაზე იყო დამოკიდებული და ცხოვრების აუცილებელ სახსარს არ წარმოადგენდა, რადგან ყველანი თვითონვე იმზადებდნენ, რაც ესაჭიროებოდათ და სხვისი საქონელი მათთვის სრულიად გამოუდგარი იყო. ეს არის დირეკტების მარტავი ანუ შემთხვევითი ფაქტი. მხოლოდ რა რომ გაცვლა-გამოცვლა გახშირდა, საქონლების რიცხვმა იმატა, ღირებულების ფორმაც შეიცვალა. როცა გაცვლა-გამოცვლა ხშირი მოვლენა შეიქნა ცხოვრებაში, მაშინ პურს მარტო შალს როდი ადარებენ, არამედ ბევრს სხვა საქონელსაც. ჩვენ შეგვიძლია პურის ღირებულება სხა საქონლებშიაც გამოვთქვათ: ხუთ გირვანქა ჩაიში, სამ სკამში, ექვს ჩაფ ღვინოში, ორ წყვილ ჩემპაში და სხვ. ჩვენ ხომ გვახსოვს, მკითხველო, რომ ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ ყველა საქონელი ადამიანის შრომის ნაყოფია; ფუთი პურის პატრონისათვის ყველა სხვა საქონლები მისი საქონელის ეკვივალენტი იქნება, მხოლოდ სხვა საქონლების პატრონებისთვის პურია მათი საქონლების ეკვივალენტი. მაშასადამე საქონლის ღირებულებისათვის სულ ერთია, რაშიაც გამოსახავს ის თავის ღირებულებას. ჩვენ შეგვიძლია ასეც შევადაროთ: ხუთი გირვანქა ჩაი უდრის ერთ ფუთ პურს, სამი სკამი ერთ ფუთ პურს, ერთი ჩაფ ღვინო ერთ ფუთ პურს: ერთი სიტყვით, ყველა ამ საქონლების ღირებულება უდრის ცალცალკე ერთ ფუთ პურს, ე. ი. ერთი ფუთი პური არის სხვა მრავალ საქონელთა ღირებულების გამომსახველი, ეკვივალენტი. შეიძლება, რასაკვირველია, პურის ადგილი ჩაიმ, სკამმა, ღვინომ დაიჭიროს. აქ ერთი-ერთ საქონელს როდია უბრდაპირდება, არამედ ერთი მრავალს და მრავალი ერთს. ეს აღარ არის მარტივი, შემთხვევითი ფორმა ღირებულებისა; მას უფრო განვითარებული სახე აქვს და ამიტომ მას ღირებულების განვითარებული ფორმის უწოდებენ. მაგრამ აქედან ერთი ნაბიჯია უკანასკნელ ფულაის ფორმამდე. ასეთ ფორმას ღიღხანს არსებობა არ შეუძლია. საქონლის გამრავლების შემდეგ ამ საქონლების გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლათ საჭირო ხდება რომელიმე საქონლის გამოყოფა, რათა ყოველთვის შესაძლებელი იყოს ამ საქონლით განიზომებოდეს სხვა საქონლის ღირე-

ბუღება. მართლაც ძნელია მეჩეკმესათვის, რომელსაც საჩოხე შალი სჭირია, ბაზარში შალის პატრონი მონახოს და უთხრას: შენი შალი ჩემს ჩექმაში გამიცვალეო. შალის პატრონი უპასუხებს: რას ჩამცივებხარ, ადამიანო, მე ჩექმები ახალი მაცვია, მეტი აღარ მეჭივრება, მე მინდა საშობოთ გოჭი ვიყიდოვო. მაშასადამე მეჩეკმემისეთი რამ ნივთი უნდა აიღოს თავისს ჩექმაში და მისცეს შალის პატრონს, რომლითაც გოჭის და სხვა საქონლის ყიდვა შეიძლებოდეს. ერთი სიტყვით, ყველა საქონლების ღირებულება ამ ერთ საქონელში უნდა გამოისახებოდეს. აი ეს საერთო საზომი ყველა საქონლებისა— არის ფული. ფული იგივე საქონელია, მხოლოდ ისეთი, რომლითაც ყოველნაირი საქონლის შეძენა შეიძლება. ძველათ, პირვანდელ საზოგადოებაში ფულათ პირუტყვს ხმარობდნენ, რადგან პირუტყვი ყველაზე და ყველასათვის უფრო საჭირო საქონელი იყო. პირველყოფილი ადამიანები ფულათ თავისს მონებსაც კი ხმარობდნენ. მაგრამ ასეთი საქონლები შესაძლებელი იყო კიდევ მაშინ, როცა საქონელს იშვიათათ სცვლიდნენ, ღღეს კი, როცა ყოველ ფეხის გადადგმაზე საჭიროა ფული, პირუტყვისა და ადამიანის თან ტარება შეუძლებელია: ამიტომ მალე პირუტყვის და სხვა ასეთი საქონლების ადგილი ლითონმა დაიჭირა. ჯერ სპილენძი, შემდეგ ვერცხლი, ოქრო შეიქნა საყოველთაო სახმარებელი ფული და ღღემდე ეს ტახტი მეუფებისა მას უპყრია. ეს ასე მოხდა იმიტომ, რომ ვერცხლი და ოქრო ადვილი სატარებელია, ადვილი დასანაწილებელია, რათა ყოველ საქონელს შეუფარდოს თავისი ღირებულება, ღიღხანს სძლებს და ადვილათ არა ხდება. ყველა ეს თვისებანი მეტათ საჭიროა ფულისათვის და ამიტომ ოქრო-ვერცხლმა დაიჩინა ეს ბატონობა, საქონელთა უპირატესობა. ამნაირათ ფული არის ერთათერთი საქონელი, რომელიც გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლათ საჭიროებას სხვა საქონლებისაგან გამოუყვია, რათა ყველა საქონლებმა მაში გამოსახონ თავისი საცვლელი ღირებულება. ფული არის საშუალება გაცვლა-გამოცვლისა. ვნახოთ როგორ შუამავლობს ეს „სანეტარო არსება“. შენ, მკითხველო, ჰყიდი საქონელს—ჩექმას, იღებ ფულს, მხოლოდ შემდეგ შენთვის საჭირო საქონელს—ქუდს ყიდულობ. წინეთ, ძველ დროში, როცა ყველამ კარგათ იცოდა, ვინ რას აკეთებდა, ვის რომელი საქონელი ეჭირებოდა, ერთი საქონლის პატრონი მივიდოდა მეორესთან და პირდაპირ გადაუცვლიდა საჭირო საქონელში. საქონელი პირდაპირ საქონელზე იცვლებოდა. ახლა სხვა დრო დადგა: საქონლის პატრონმა თავისი საქონელი ჯერ ფულზე უნდა გასცვალოს და მერმე მისთვის საჭირო საქონელი შეიძინოს. ისე ფული მას რათ ესაჭიროება: ფულს ვერ ჰქამს, ვერ სვამს, ვერ ჩაიცვამს, ვერ დაიხურავს, მხოლოდ ფულის საშუალებით ყველა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია. ღღეს საქონელი იცვლება ფულზე, ფული ისევ საქონელზე. უეჭველია, ის, ვინც საქონელს ყიდულობს, ფულის პატრონი ყოფილა ე. ი. სანამ ფულს შეიძენდა, საქონელი გაუყიდა. საქონლის გამყიდველი, რომელმაც საქონელში ფული აიღო, ისევ საქონელს იყიდის. აი ამას ეძახიან საქონლის გაცვლა-გამოცვლის, ტრიალს და ფულს ამ ტრიალის საშუალებას. საქონლის პატრონი საქონელს ყიდის, ფულს იღებს და ისევ საქონელს ყიდულობს. ეს პატრონიც და ისიც, ვინც მისგან საქონელი იყიდა შენაძენ საქონელს გაიხმარებენ; ეს საქონლები ხმარებიდან გამოვა, მოისპობა, საზოგადოებაში აღარ იქნება; ფული კი ისევ საზოგადოებაში ტრიალებს, თან და თან უფრო და უფრო შორდება პირველ პატრონს იქა-აქ დათარეშობს. მას არვინ შესვამს, არვინ შესვამს, ის ვერ მოისპობა, ყოველთვის თვალსაჩინოა. ასე გამოდის, თითქო ეს რაღაც მანქანა-ლითონია, დადის, იბარებს ყოველი მხრიდან საქონ-

ლებს და ატრიალებს მათ; თითქო საქონლები მიტომ ტრიალობენ საზოგადოებაში, რომ ფული ტრიალებს. ნამდვილათ კი სულ წინააღმდეგი ხდება: ფული სწორედ მიტომ ტრიალებს, რომ საქონლები ტრიალობენ, გაცვლა-გამოცვლილებს. საქონელი იბარებს ფულს და არა ფული საქონელს. ამიტომ ფულის ტრიალი საქონლის ტრიალზე დამოკიდებული. რაც უფრო მალე გაიყიდება ერთი საქონელი, მით უფრო მალე გამოვა გასაყიდათ მეორე, მაშასადამე მით უფრო სწრაფათ დატრიალდება ფულიც. როცა საქონლის გაყიდვა გვიანდება, ფულის ტრიალიც ნელია; ფული ასეთ საზოგადოებაში იშვიათია. ამიტომ ხშირათ გონიათ, რომ ვაჭრობის შესუსტება უფულობის ბრალია; ნამდვილათ კი უფულობა საქონლის ტრიალის შესუსტების შედეგია. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ამ ჟამათ ფულის როლს თითქმის ყველგან ოქრო ასრულებსთქო. აბა, ეს ქალაქის ფულები, „ასიგნაციები“ რაღა ჯანდაბააო, ვიცი შემომძახებ მოუთმენლათ, მეგობარო. „ჯანდაბა“ რომ იყოს, ხომ არ მოგვენატრებოდა მე და შენ, მაგრამ საქმე ის არის, ღღეს ისიც ფულობს და აი რატომ? როცა სახელმწიფო პარტარა ნაჭერ ოქროს ხუთ მანეთიან დაღს ასვამს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ოქროში უთუოთ ხუთი მანეთის ღირებულება იყოს. შეიძლება მასში მხოლოდ ოთხ მანეთ ნახევრის ოქროა, მხოლოდ კანონის ძალით იგი ხუთ მანეთათ საღდება და ყველასათვის სავალდებულოა მისი ამ ფასში მიღება. ვთქვათ, პირველათ, როცა გამოვიდა სახმარებლათ, მართლაც ხუთი მანეთის იყო ეს ოქრო, მაგრამ ხმარების დროს ხომ გაიცვითა, მოაკლდა მას რამოდენიმე, მაშასადამე ფასი ნაკლები დაურჩა რამოდენიმე ხნის შემდეგ, მხოლოდ ის ბოლოსაც იმდენათ უნდა მიიღო, რამდენათაც პირველათ ღირდა. ან კი რათ არ უნდა მიიღო, როცა სხვაც მიიღებს და შენ შეგიძლია მით შენი საჭიროება ერთნაირათ დაიკმაყოფილო მაშინაც, როცა მას ნამდვილათ ხუთი მანეთის ღირებულება ქონდა და ღღესაც, როცა მას მხოლოდ ოთხი მანეთის ღირებულება ჰქონდა. ერთი სიტყვით, აქ სახელმწიფო აკანონებს მის ღირებულებას მიუხედავათ იმისა, ღირს თუ არა ის ამდენი. თუ ეს ასეა და შეიძლება ნაკლები ოქროს მეტ ფასათ გასაღება, რატომ არ შეიძლება საჭიროების დროს სახელმწიფომ უბრალო ფარატინა ქალაქი გახადოს ოქროს მაგიერ სავალდებულოთ ღ მართლაც ასე შერება. იმ „ასიგნაციებს“, რომელიც მე და შენ, მეგობარო, ნერწყვს გვიშრობს ხოლმე და თავისთავათ არავითარი ღირებულება არ აქვს, სახელმწიფოს ბრძანებით ღირებულება ეძლევა და ფულის მაგიერობას ეწევა. ის ყველასათვის სავალდებულოა მისაღებათ და აბა რათ გვინდა მისი ღირებულება, როცა მით ყველაფრის შეძენა შეიძლება. კარგ სადილს მივირთმევთ, ტანთ ჩაიცვამთ, ლუქმა-პურისთვის მითრახებს აღარ დაგვაწინან, წიგნებს ვიყიდით, გართობას ველირსებით, ცოლშვილს გავათბობთ, ერთი სიტყვით ამ „ასიგნაციებით“ ვიცხოვრებთ ისე, როგორც გვინდა და გვესიამოვნება. „მაშ სახელმწიფოსათვის ფული ადვილი საშოვარი ყოფილა, მას სიკოტრე არასოდეს არ შემოვებარება, რამდენსაც უნდა, იმდენს გამოსცემს ამ ფარტინა ქალაქლებს“, შემნიშნავ ნიშან მოგებით შენ. არა, მეგობარო, მის სურვილსაც საზღვარი აქვს. არც იმას მოვებარება დაუღვეველი წყარო, კოტრობა მასაც შევებარება ხოლმე, თუ ეს „ასიგნაციები“ თავისს ქვეშევრდომთა განუკითხველათ ფლანგა და თვისი „ასიგნიციები“ სინამდვილეს არ შეუფარდა. ქალაქის ფული ოქროს რაოდენობას უნდა უდრიდეს, რათა სახელმწიფო ხაზინამ ყოველთვის შესძლოს ქალაქის ოქროზე დახურდავება. სამწუხაროთ ეს ყოველთვის ასე არ ხდება და ხშირათ ქალაქის ფულის რაოდენობა აღემატება ოქროსას. ამ შემთხვევაში ქალაქის ფულს ფასი ეკარგება. მაგა-



ლითათ, თუ სახელმწიფოში ოქროს რაოდენობა ას მილიონ მანეთს უდრის, ხოლო ქაღალდის ფული ორასი მილიონის ტრიალებს, უეჭველია, ათი მანეთის ქაღალდის ფულით მხოლოდ იმდენის შეძენა შეიძლება, რამდენიც ხუთი მანეთის ოქროს ფულით. ამიტომ ასეთი შეუსაბამობა დიდხანს ვერ გასტანს და მას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოეღოს. ეხლა ჩვენ ვიცით, თუ როგორ უშუამავლობს ფული, როგორ ასრულებს ის ამ დანიშნულებას და ამიტომ შეგვიძლია გავიცნოთ მისი სხვა მხარეებიც, სხვა დანიშნულებანი. ხშირათ ხდება, ჩემო მკითხველო, რომ საქონელს უფულოთ ყიდულობენ; ალბათ ეს შენც გამოგიცდია და ამას ჩვენებურათ ნისიას ვეძახით, ხოლო მეცნიერებაში კრედიტს უწოდებენ. კრედიტი ნიშნავს ნდობას. ნდობა კი მეტათ გავრცელებულია ვაჭრობაში, მხოლოდ გავრცელებულია ის იმიტომ, რომ ნდობა სასარგებლოა იმისათვისაც, ვისაც ანდობენ და იმისთვისაც, ვინც ანდობს. საქონლის შესაძენათ საქირთა ფული, ხოლო ფული მყიდველს ყოველთვის არ დაურჩება და იგი იძულებულია, როგორმე იღროვოს ფულის გადახდა, აიღოს საქონელი ნისიათ. ვთქვათ, საქსოვ ქარხნის პატრონს საქსოვ მასალის შესაძენათ ფული არა აქვს. მას ფული ექნება მაშინ, როცა მოქსოვს და გაყიდის, რამოდენიმე თვის შემდეგ. ამხნის განმავლობაში მას საქონელი უფულოთ მიაქვს, ნისიათ ღებულობს. ამნაირათ იგი მოვალე ხდება, ხოლო ვინც მას ეს საქონელი ანდო—მისი კრედიტორია. წარმოვიდგინოთ, რომ ქარხნის პატრონმა დანიშნულ დროზე ვალი ვერ გადაიხადა, ხოლო საქსოვის მასალის პიტრონი კი დანიშნულ ვადაზე ფულს მოელოდა და თავის მხრით სხვაზე იყო შეპირებული ამ ფულის მიცემას. ეს სხვა კიდევ სხვისი მოვალეა. ასე რომ მექარხნის ვალის გადაუხდელობამ დაარღვია რამოდენიმე პირობა, შეაჩერა რამოდენიმე მწარმოებელის მოქმედება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთი ამბავი არა ერთსა და ორს ემართება, არამედ ბევრს, მივხვდებით, თუ რა გავრცელებაში ვარდებიან ეს პირები, ერთმანეთზე გადაჭყუნნი, როგორ იქცევიან საერთო უბედურებით. ამ დროს ყველა მოვალე—კრედიტორებს ერთმანეთის ნდობა ეკარგებათ, მათი ხელწერილები კარგავენ ძალას და ყველანი დაუყოვნებლივ ნაღდ ფულს თხოულობენ. ასეთი გავრცელების შესამსუბუქებლათ მოგონილია ბანკები. აქ ყოველი მხრიდან თავს იყრის თავისუფალი ფულები, ის ფულები, რომელიც წარმოებაში არ არის ჩაყრილი, საქმეზე არ არის მოხმარებული. საქირთების დროს, დროებით უფულოთ დარჩენილ მდიდარს, რომელსაც ნდობა და პატივი მოეპოვება „კომერციულ“ საზოგადოებაში, საშუალება ეძლევა სხვისი ფულით ხელი მოინაცვლოს, ვალი გაისტუმროს და წარმოება განაგრძოს. ამიტომ ბანკი ყოველთვის იგრძნობს ვაჭრობა მრეწველობის გავრცელებულ წამს, ყოველთვის ეტყობა მის კასას საერთო ფაცა-ფუცი; ის ჩინებული ბარომეტრია „საკომერციო“ დროს გამოსაცნობათ. ამ დაწესებულებაში მუდმივ მიედინ-მოედინება აუარებელი ფულები, შიგ თავს იყრის მრავალი პატარ-პატარა ვაჭარ-მრეწველთა თანხები, ეწყობა ფულის დიადი გროვა, რათა მდიდარმა ისარგებლოს მოგროვილი ფულებით, დაატრილოს სხვისი ფულები თავის საქირთებისათვის და სქელი ჯიბეები კიდევ უფრო გაისტუმროს. აქედან ფული მას მიაქვს, ვისაც ფული აქვს, მხოლოდ შეტანა ხომ უფულოს არ შეუძლია. ამიტომ ის ფულიანების დაწესებულებაა, მათი სასარგებლო, მათთვის მოვლენილი ამ ქვეყნათ. ამ „საკვირველ“ რეზერვუარს ერთი კრანი მუდამ ავსებს, მეორე სკლის და, საკმაოა სადმე შეგუბდეს მომდინარეობა, ისიც დაცალიერდება, დაიშრიტება და მისი უბედურება საჩქაროთ ქვეყანას ემ-

ცნება. ასეთია ის საოცარი ლითონი, რომელიც ბევრს სათაყვანებლათ გაუხდია, ხატივით უსვენია ოთახის რომელიმე კუთხეში და დილიდან საღამომდე თაყვანს სცემს. გაუხსენებელი რგი ერისთავის „ძუნწი“; როგორის სიყვარულით ელოდებოდა ეს გმირი ლითონს, როგორის ალტაცებით ისმენს მის ხმაურობას, რანაირი გულის ფანცქალით დასჩერებია თავის სკივრში ჩამარხულ განძს, რომელიც მისთვისაც და სხვისთვისაც გამოუდგარია, სრულიად უმნიშვნელოა ცხოვრებაში. ავტორს ასეთი „ძუნწი“ მხოლოდ სომხებში უპოვნია. ხოლო დღეს რომ შეეძლოს გადახედოს ჩვენ ცხოვრებას, დაუგდოს ყური ამ სოფლის ხმაურობას, ქართველი პატრიოტი გაიგონებდა ქართველი „ძუნწის“ „ბზინკსაც“; სხვის გულში ფათური აღარ დასჭირდებოდა, რადგან თავისს მოძმის გულსაც დაინახავდა ლითონით გახეხილს და გავერაგებულს. საოცარია ეს ლითონი! აღამიანს თავისებური სენით იპყრობს, განურჩევლათ სქესისა, წლოვანებისა, და ეროვნებისა, ყველას ერთნაირათ აცოდვინებს ამ ცოდვილ ქვეყანაში და თუმცა თავისს ნამდვილ დანიშნულებას კარგავს, საქირთ მოვალეობას—საქონლის ცვლის უშუამავლობას—აღარ ასრულებს ხოლმე, მაგრამ სამაგიეროთ იგი კერპია, ღეთაებათ იქცევა და სალოცავათ ხდება. ფული-განძი, სკივრში და მიწაში ჩამარხული—ეს ვაჭრობა-მრეწველობის თანდაყოლილი სენია, რომლის განკურნება მხოლოდ მთელი ორგანიზმის განკურნებით შეიძლება. მაგრამ ასეთი ფული—განძი, დასაღობათ ჩამარხული, იშვიათია, დღეს ყველას ფული-კაპიტალი უფრო აინტერესებს. ამნაირ ფულს ვერ ალბობს მიწა, ვერ ჩინჩავს სკივრი, ის მუდამ მოძრაობაშია, მუდამ საქმიანობს, ზოგს ალბინებს და ზოგს ატირებს, ყველაფერი მის გავლენის ქვეშ იმყოფება და ყველა მას შეტრფის. გავიცნოთ ეს ფული—კაპიტალი.

ა. წულუკიძე.

P. S. წინა წერილში 458 გვ. (იხ. „კვალი“ № 28). შემდეგი კორექტურული შეცდომა იყო: „სანამ პატრონი თვითონ ამხადებდა შალს და თვითვე გაიხმარდა, ეს შალი საქონელი იყო... უნდა იყოს: „სანამ და სხვ...“ ეს შალი საქონელი არ იყო“.

### წერილი ხიდისთავიდან

ხიდისთავი და მის ახლო მახლო მდებარე სოფლები მეტათ აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. წრევანდელი მოუსავლობა, ვინ იცის, რით გათავდება. სოფელი გატყდა წელში, ვეღარ უძლებს ამდენ მოთხოვნილებას და გადასახადებს. კანცელიარიის შენობა აივსო საწინდრებით. არა აქ და მოგცეს... სანამ ქონდა ღმერთსაც ისტუმრებდა, ხელმწიფესაც, დღეს კი... უბრალო ხმელა ქადი ენატრებათ უმრავლესობას. დიახ, ქადიც არაა, თვარა მისაქმელს ვინღა ჩივა, მარტო ქადსაც სიამოვნებით ჩახურხნიან. საქირთა ამ ბედში ჩავარდნილებს გადასახადი მაინც აპატიონ და უკანასკნელი ფარდაგი შეანარჩუნონ... მაგრამ ვინ იზამს ამ სიკეთეს.

დარწმუნებით კი იმის თქმა შემიძლია, რომ ბასილეთის საზოგადოებამ აფთიაქის გახსნა ითხოვა, განაჩენიც დაადგინა კაცებიც ამოიჩნია, რომელსაც უნდა ეზრუნათ ამ საქმეზე... ნებართვაც მზათ იყო, მხოლოდ ბ-ნ ნიკოს არ ეძინა ამ დროს და ქვეშ-ქვეშ, მისებურათ საქმეს თავისკენ წიწავდა და დაწიწა კიდევ. მას არ ეყო ნაგომარის აფთიაქი და ხიდისთავისაც ხელში იგდო.

იგდო უკანონოთ და გაიძვერაობით. საზოგადოება კი დიდის სიხარულით ელოდა სმკუთარ აფთიაქს. მაგრამ მოს-

ტყუვდა; იმედი გაუტრუვდა. მას დასცინცლეს ხელიდან თავის საკუთარი საქმე... კარგა „მამების“ წყალობით. მაგრამ საზოგადოებამ როცა გაიგო „სეკრეტი“ რაში იყო, ბოიკოტი გამოაცხადა—ნიკოს აფთიაქში პირველათ არავინ შედიოდა ის და მისი პატრონიც ქირივით ეჯავრებოდა. მაგრამ ასეთმა ამბავმა დიდხანს არ გასტანა—საზოგადოება ისევ დადის წამლისთვის ნიკოს აფთიაქში. მაშ რა ქნას, სხვა გზა რომ არ აქვს?

ვიცი ამ წერილისთვის ბევრი გაწიწმადება ღ აპოლონს მიაშურებენ. არიქა გვიშველე შენებურათ და საპასუხო წერილი დაგვიწერეო. აპოლონიც მისებურათ აიღებს ფულებს, როგორც დაჩვეულია, წავა თფილისში და სულ ნიორწყალოთ აქცევს ამ ჩემს მცირე შენიშვნებს. მაგრამ ვაი თუ რედაქციის კარები დაკეტილი დახვდა! თუმცა ნიკოს არ დასჭირდება აპოლონის დახმარება, როგორც ილიკოს,—აპოლონის ქვისლს დასჭირდა... ის გაიმართლებს თავს გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე თავის გამართლება თავის ძალოთ გამართლება იქნება და არა ის, რომ ის მართალია.

მეეტლეთა ამხანაგობის წლიური კრება. კრებას თავმჯდომარეობს ბ-ნი გრიგოლ გუგუნავა. სანამ ანგარიშის წაკითხვას შეუდგებოდენ, კრებამ მოისმინა ქ-ნ ნიკოლაშვილის მოხსენება. რადგანაც ჩემი შვილი უკვე გარდაცვლილია—სწერს ის—ასე თუ ისე გაჭირებულ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი, გთხოვთ ჩემი შვილის საწვერო ფული ოცი მანეთი უკან დამიბრუნოთო. კრებამ არ შეიწყნარა ქ-ნი ნიკოლაშვილის კანონიერი (მაგრამ არა იურიდიულაუ) მოთხოვნა. სამაგიეროთ თითო-ოროლა ვითომდა ქველ-მოქმედმა გაიკრეს ჯიბეს ხელი და კერძოთ უწევდენ დახმარებას. მაგრამ ქ-მა ნიკოლაშვილისამ შეუდარებელი თავმოყვარეობა გამოიჩინა—უარი განაცხადა კერძო დახმარებაზე. „უკაცრავათ, მე მოვითხოვე მხოლოდ ჩემი და რაკი უარი გამომიცხადა, კმაყოფილი ვარ, ხოლო მოწყალებას კი არასოდეს არ მივიღებო“. საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ამ სიტყვებს. შემდეგ ამხანაგობის გამგემ ბ-ნ ილია ახალაძემ წარმოუდგინა კრებას ანგარიში. ანგარიშიდან ვტყუბილობთ, რომ წელს 1500 მანეთით ნაკლები შემოსავალი ყოფილა გასულ წელთან შედარებით, რის გამოც ამხანაგობას ზარალი უნახავს. მაგრამ ამავე დროს ხარჯი კი 1100 მანეთით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს. და ეს 1100 მანეთით ნაკლები ხარჯი აშკარად მოწმობს იმას, თუ როგორი პატიოსანი ყოფილა გამგე ბ. ივანე კალანდაძე, რომლის გამოცვლა ხიდისთაველებს არას მამაძეობით არ უნდოდათ. ილიკომ გამოაშკარავა ძველი გამგეობის ყალბი მოქმედება და მაგალითი უჩვენა ახალს: ვაი თქვენი ბრალი, თუ გითარშებიაო. ილიკოს ანგარიშიდან ვტყუბილობთ, რომ ნაკლი მის გამგეობის დროს 50 მანეთით ნაკლები მოსდომებია ცხენებს, თუმცა ცხენები იმდენი ყოფილა, კოგორც გასულ წელს; წელსაც თითო ცხენს ოთხი ფენი ჰქონდა, როგორც წინეთ. და უნალობით არც ერთი ცხენი არ აკოტლებულა. გათბობა და განათება 26 მანეთით ნაკლები დამჯდარა, თუმცა წელსაც იანვარში ისეთი თოვლი ყოფილა, როგორც ივანეს დროს, წელსაც ლამაზა გაუქრობელათ ენთო, როგორც ივანეს დროს. გამგეობის ხარჯი ილიკოს დროს 25 მანეთით ნაკლები ყოფილა, აირჩიეს გამგეთ ბ. ჯაბა კალანდაძე. ახალაძეს კი მადლობა გამოუცხადეს უმწიკვლო და პატიოსნურ ღვაწლისთვის. ვნახოთ ჯაბა როგორ უნარს გამოიჩინს გამგეობის დროს.

შოველი

P.s. წარსულ წელს ამხანაგობა 25 მანეთით დაჯარიმა ექიმმა ნადირაძემ ხიდისთავის თავლის ჰიგიენურათ და სანიტარულათ მოუწყობლობის გამო. დაჯარიმებულნი იყვნენ ხოლო ჯარიმა ივანე კალანდაძეს უნდა გადაეხადებინა ამხანაგობას, რადგანაც აქ მხოლოდ გამგის აშკარა დაუდევრობა იყო, რისთვისაც მასვე უნდა ეგო პასუხი. ხიდისთავის თავლა დღესაც სწამლავს და მხამავს გარშემო მცხოვრებლებს ვნახოთ აბა „წიყურისძირებს“ ამას თუ არა. თუ „წიყურისძირებს“, ჩვენ მაშინ სხვა ღონეს მივმართავთ.

შოველი.

### ჩვენებური უკუღმართობა

(დასასრული. იხ. „კვალი“ № 28 1903 წ.)

წარსულიდან ბ. მწირი გადადის დღევანდელ ჩვენ ვითარებაზე. „დღევანდელი ჩვენი მოღვაწეობაც წარსული დედნის პირიაო,“—გვეუბნება ბ. მწირი, ე. ი. „დღევანდელი ჩვენი მეთაურებიც, შურით და, მტრობით გამსჭვალული, ერთმანეთს აღარ ზოგვენო? თუ ბ. მწირის სიტყვით, ძველათ შურის და მტრობის გამომწვევი გვართა ბრძოლა იყო, დღეს ამის მიზეზი „უდროვით შემოჩხვრილი ბანკები და არჩევნები“ შეიქნენ. დღევანდელ უთანხმოების ისტორიას ასე მოგვითხრობს ჩვენი ავტორი. „ახალ ცხოვრებისაკენ პირველი ბიჯი მესამოცე წლების მოღვაწეობა გადადგეს, და ერთხანათ მათი შრომა-მოღვაწეობა სწორედ მოციქულებრივი იყო, მაგრამ ბოლოს, როცა ბანკები და არჩევნები უდროვით შემოგვეჩხირა, მაშინ ჩამოვარდა მათ შორის განხეთქილება და უთანხმოება ორ ბანაკათ გაყოფო“. ამნაირათ ბანკები და არჩევნები რომ ქვეყანაზე არ გაჩენილიყვენ, ჩვენში იქნებოდა ნამდვილი მყუდროება და კაცთა შორის სათნოება: არც უთანხმოება, არც შფოთი და არც მტრობა. ყოველივე გამოიწვია ამ ცეცხლში დასაწვავ ბანკებმა და არჩევნებმა! სად იყო აქამდის ბ. მწირი, რას აკეთებდა, რათ არ ამცნო დროზე ქვეყანას, რომ ნუ არსებთ ბანკებს, თორემ ქვეყანა დაიღუპებო?—ასეა თუ ისე ბ. მწირმა, როგორც იყო, აგვიხსნა და გაგვაგებინა, თუ საიდან გაჩნდენ „ჩვენებური მარქსელები“, ანუ მისი ტერმინოლოგიით ეს „ანარეკლის ანარეკლები“! ვინ იცის, შეიძლება ისინიც ბანკებმა და არჩევნებმა წარმოშობეს. ჯერ-ჯერობით ამის შესახებ არაფერს ამბობს ბ. მწირი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში იგი გაგვაცნობს „ჩვენებურ მარქსელების“ წარმოშობის ისტორიასაც.

დღეს-დღეობით კი იგი ამის შესახებ შემდეგით გვაკმაყოფილებს. „როგორც ებრაელები მოელოდენ მესიას—მოგვითხრობს ბ. მწირი, ისე ზოგიერთი მესამოცე წლების მოღვაწენიც მოელოდენ ახალ დემას; მათ რიცხვში გიორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის სულ-წასულაობით კარლ მარქსის მოძღვრების ფენის ამყოლები მიიღო „მომავლათ“, უწოდა „მესამე დასათ“ და სიმონ მოხუცებულისებრ სთქვა: აწ განმიტევეო, მაგრამ ვერ გაუვიდა ნამდვილი მიმრქმელობაო“. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ ასრულებენ „მესიის“ როლს „მესამე დასელები“, ან როგორი მიმრქმელი გამოდგა გიორგი წერეთელი,—ეს მომავალი ისტორიკოსის საქმეა, რასაკვირველია არა ისეთი ისტორიკოსის, როგორიც ბ. მწირია. ჩვენ შევხებით მხოლოდ იმას, თუ როგორ იხსენიებს ან რაში დებს წუნს ამ ახალი თაობის წარმომადგენელთ ბ. მწირი. ეს ვაუბატონი იმ ზომამდე ბრაზ მორყულია ხსენებული თაობის წარმომადგენელთა მოღვაწეობით, რომ მას აღარაფერი აღარ აგონდება, აღარც ლოლიკა, აღარც ზრდილობა. აბა, ყური დაუვდეთ, თუ რას ამბობს თვით

ბ. მწირი: „მესამე დასვლებს“ ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელში, როცა პირდაპირ გმობენ ფარისევლობას და მეზვერობას და ჩვენი თანაგრძობაც მათკენ იქნებოდა, რომ იმავედროს სრულიად უარს არ ყოფდნენ წარსულსა და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდორით არ აგორებდნენ უფსკრულისაკენ. რასაკვირველია, ისინი ამას შურით, მტრობითა და სიხარბით არ ჩადიანო“. შემდეგ: „ის გზა, რომელსაც დღეს ისინი (ე. ი. „მესამე დასვლები“) ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლათ საქიროა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინდახედულობა ეჭირვებაო“. ადამიანი უცოდველი არ არის, და „მესამე დასვლებიც“ ხომ ადამიანები არიან. მიტომ თუ ყველა ის ღირსება, რომელსაც მათ ბ. მწირი აწერს, ნამდვილია, იმ შემთხვევაში ისინი პატივისცემის ღირსნი მაინც არიან, და არა დაცინვის, დამცირების და ცილის წაშების. თუ „მესამე დასვლებს“ ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელში, თუ „ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლათ საქიროა ჩვენთვის“, და თუ იმ შემთხვევაშიაც, როცა ისინი ცდებიან, ეს არ არის გამოწვეული არც „შურით, არც მტრობით და არც სიხარბით“, თუ ყოველსავე ამას ბ. მწირი გულწრფელობით, და არა ფარისევლობით და ქალაჩუნობით ამბობს, შემდეგ სტრიქონში რაღათ ცდილობს იგი იმათ დამცირებას, რიღასთვის უტყენს იმათ სახელს და უკარგავს ნდობას ხალხის თვალში? ტყუილა გონია ავტორს, რომ ამ ქალაჩუნობით მან ვისმეს გული მოიგოს. არა ჩვენ ბევრათ უფრო იმათ ვსცემთ ამ შემთხვევაში პატივს, ვინც პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენ არცა რა სიმართლე გვეჭირავს ხელში და არცა რა სასარგებლო გზას ვადგივართო, რომ ჩვენი მოძღვრებაც მავნებელია და ის გზაც, რომელსაც ჩვენ ვადგევართ. ორპირობა და ფარისევლობა მუდამ საძრახისი და სამარცხვინო ყოფილა და იქნება, და ისეა ამ შემთხვევაშიაც.

ბ. მწირი ჩასტიდება მარქსის ერთ ერთ ფრაზას, სახელდობ: „რაც გინდა ვარ, მაგრამ მარქსელი კი არა ვარო“, რომლიდანაც ავტორის აზრით ის იგულისხმება, რომ „მეცნიერს ბოლო დროს თვისი ნამოდვრალი აღარ ქაშნიკებია და საზოგადოთ მის მიმდევრებს ყველა ადგილი ისე ვერ გაუგიათ, როგორც თვით მოძღვარს ესმოდაო“. — თუ ეს ითქვა განათლებული ევროპელების შესახებ — თამამათ განაგრძობს ბ. მწირი, — მაშ, რაღა უნდა ვთქვათ ჩუქნებურ მარქსელაბზე, როგორც ასარკელის ასარკელზე, რომლებაც დედანის სიასდგვესაც არ მაკარებან და რუსულა აზრის ღარა ვადუდათა და ისე გასცნობიან მარქსის თქმასა? როგორც ხედავთ, ბ. მწირს ერთი კალმის მოსმით სურს მოსპოს და აღვავოს პირისაგან ქვეყნისა არა მარტო „ჩვენებური მარქსელები“, არამედ მარქსის განათლებული ევროპეელი მიმდევრებიც და თითქმის მთელი მარქსიზმიც, ვინაიდგან მისი სიტყვით, „ბოლო დროს თვით მოძღვარსაც აღარ ქაშნიკებია თავის ნამოდვრალიო“. სადღაა აქ „ის გამოსადეგი და ჩვენთვის აუცილებლათ საქიროა გზა, რომელსაც ადგიან ჩვენებური მარქსელები“, სადღაა აქ ის „ბევრი სიმართლე, რომელნიც მათ ხელში უჭირავთ“? როგორ დაშორებულია ერთიერთმანეთისაგან ეს ორი აზრი „ჩვენებურ მარქსელებზე“! ჩვენ დავეკითხებით ბ. მწირს, „რომელი თავის ნამოდვრალი აღარ ქაშნიკებია“ მარქსს, ან რომელი ადგილი მარქსის თხუზულები — სა ვერ გაიგეს მისმა განათლებულმა ევროპეელმა მიმდევრებმა? „ჩვენებურ მარქსელებზე“ ლაპარაკიც აღარ ღირს, ვინაიდგან ისინი „დედანს სიხლოვესაც არ მიკარებიან და მხოლოთ რუსული აზრის ღარი გადმოუღიათ“, ე. ი. ისინი „ანარკელის ანარკელები“ არიან და მეტი არაფერი. საიდან გაიგო ავტორმა ეს, რომელი ჩვენებური მარ-

ქსელის მოქმედებამ მისცა მას ამის საბუთი და რათ არ დასახელა ეს საბუთი? უამისოთ კი ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს, რომ მის საქციელს სამარცხვინო ცილის წამებად ვაჩვენებთ, სამწუხაროთ, ამაში ბ. მწირს პირველობა არ ეკუთვნის. „ივერიამი“ ასეთი ცილისწამება წინეთაც გვსმენია, მაგრამ ბოლოს შერცხვენილი დარჩენილან თვით ცილის მწამებელნი. ვარდა ამისა ვარწმუნებთ ბ. მწირს, თუ კი მისი დარწმუნება რამეში შეიძლება, რომ ის ახალი მოძღვრება, რომლის მიმდევართ იგი ასე საშინლათ სდევნის, მარტო დედანზე როდი ჰკიღია; ეს მოძღვრება წარმოშობილია თვით ცხოვრების მიერ და მისი მიღება სრულებით არ არის დამოკიდებული რომელსამე დედანზე; იგი თვით თანამედროვე ცხოვრების აუცილებლობაა, მაში გამოიხატება თვით საზოგადოებრივი ცხოვრების კანონი. იგი ანგრევს შეუვალ და დახშულ კედლებს, აპობს მუხას, წყალს, სივრცეს და გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, ერთი ხალხიდან მეორე ხალხში, ერთი თავიდან მეორე თავში. იგი არ არის განყენებული, ბურუსში გახვეული სწავლა, იგი გამოწვეულია თვით თანამედროვე ცხოვრების პირობებით, ამიტომ იგი ვრცელდება იმდენათ, რამდენათაც ვითარდებიან ეს პირობები. აქ „დედანი“ არაფერ შუაშია, საქმე თვით თქვია, რომელიც იდეის ნაყოფს, რაკი ის შესაფერ ნადავს ჰყოფიან. ასეთია ყველა ნაყოფიერი იდეის ბედი, თუ იმას დაუკეტავთ სახლის კარებს, იგი თვით კედლებს შემოანგრევს და ისე შემოვა შიგ, რომ იქიდან გატანტოს სიბნელიე.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც „ჩვენებური მარქსელები“ უარყოფდნენ ჩვენ წარსულ ცხოვრებას, — ესეც ხალისი ტყუილია და აიხსნება ან ცილის წამებით და ან სრული უმეცრებით, გაუგებრობით \*). საიდან გამოყავთ, რომ ჩვენ წარსულს უარს ვყოფთ? წარსული ცხოვრება ხომ ისტორიულათ მომხდარი ფაქტია, და როდის იყო, რომ რომელიმე ჩვენგანს ისტორია უარეყოს. პირიქით მთელი ის მოძღვრება, რომელიც ჩვენ გვწამს, წარსული ცხოვრების შესწავლაზეა დამყარებული. მართალია, წარსულ ცხოვრებას ჩვენ არ ვუყურებთ ისე, როგორც სხვები. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ვხედავთ იმას, რაც იყო, და არა იმას, რაც არ ყოფილა. ჩვენ არ გვჯერა, რომ ძველათ ჩვენში გამეფებული ყოფილიყოს სათნოება და სიყვარული; ჩვენ არ გვჯერა, რომ ჩვენი მაღალი წოდება ძველათ მამულისა და ხალხისათვის თავდადებული ყოფილიყოს \*\*). პირიქით, ჩვენი წარსულის შესწავლა გვიმტკიცებს, რომ ეს სინამდვილე როდია, არამედ უსაქმო პირთა მიერ შექმნილი ოცნება. და როცა ამ ოცნებას ჩვენ უარეყოფთ და იგი სიცრუეთ მიგვაჩნია, ჩვენი გამოხატობებული და დამყარებული „მამულიშვილები“ გაიძახიან, რომ ჩვენ ამით სამშობლოს ვღალატობთ და ჩვენ დიდებულ წარსულს ვივიწყებთ და უარეყოფთ. მაშასადამე, ჩვენ მიერ წარსულის უარის ყოფა მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თეთრს თეთრათ ვღებულობთ და შავს-შავათ, და არა პირიქით, როგორც ამას ჩვენი მოწინააღმდეგეები ჩადიან. ყველაზე უფრო ეს უკუღმართი მიდრეკილება, როგორც ჩანს, ეტყობა ბ. მწირს მესამოცნეთაგანს. მაგრამ ასეთ თავის უკუღმართობას ბ. მწირი ახვევს სხვა-და-სხვა იგავებში და ცრუიზმებში. ვარწმუნებთ მას, რომ არც მისი იგავები და მით უმეტეს არც მისი ცარუიზმები დღეს დიდ საქიროებას არავისთვის არ შეადგენს, ვის რათ უნდა, მაგ., ასეთი ჭეშმარიტებანი: „ხშირათ ერთგან ის არის ხოლმე სასარგებლო, რაც მეორეგან მავნებელია. დროსა და ადგილს შერჩევა უნდა. მთაში რომ დარია

\*) პირველობა არც ამაში ეკუთვნის ბ. მწირს.  
 \*\*) ზოგიერთ შემთხვევებზე გამოიხატება ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ,

